# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 მაისი, 2014 წელი.

№88 (7469)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




# გიორგობას გილოცავთ!

## ევროპა აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს?

6

## მეც იქ მირჩევნია, სადაც ჩემი პატრიარქია!



4

ანუ ზნეობრიობა თუ რუსეთს ნიშნავს, მაშინ ევროპას მე რუსეთს ვარჩევ...

## გიგის რაც ესიზმრებოდა, ნიკას ის ელანდებოდა

3

## საქართველო ნატოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს სთხოვს

8



## NDI
5

## ვინ ენდობა ნავაროს უწყებას?!

## „არაბუნებრივი რეაქციების კასკადი“

6

## თბილისური ვერნისაჟები

9



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## საპატრიარქოს გადაეცა არა ყოფილი „მიხეილის საავადმყოფოს“, არამედ ყოფილი პათანატომიის კათედრის შენობა

**აღნიშნულთან დაკავშირებით ეკონომიკის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:**

— მედიის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საზოგადოების გარკვეული წევრების მიერ არასწორი ინტერპრეტაციის გამო კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის №726 განკარგულებით საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში გადაეცა არა ე.წ. ყოფილი „მიხეილის საავადმყოფოს“ შენობა და ტერიტორია, არამედ ამ ტერიტორიიდან გამიჯნული ნაწილი — ყოფილი პათანატომიის კათედრის შენობა (საკადასტრო კოდი №01.16.05.013.045). საპატრიარქოს განცხადებით, ამ ადგილას მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი აშენდა შპს „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოსთან“ (ე.წ. მიხეილის საავადმყოფო) ერთად. კომუნისტური რეჟიმის დროს ტაძარი გადაკეთდა პათანატომიის კათედრის აუდიტორიად, ხოლო ტაძრის საკურთხეველს მიუშენეს შენობა, სადაც განათავსეს პროზექტურა და სტუდენტებს უტარდებოდათ პრაქტიკული მეცადინეობა. 1996 წელს ტაძარს დაუბრუნდა პირვანდელი სახე და მას შემდეგ რეგულარულად მიმდინარეობს წირვა-ლოცვა, ხოლო ზემოხსენებულ შენობა-ნაგებობებს ტაძარი იყენებდა სატრაპეზოდ. საპატრიარქოს დაგეგმილი აქვს, გადაცემულ უძრავ ქონებაში განათავსოს საკვირაო სკოლა, ხატწერისა და გალობის სახელოსნოები, — ნათქვამია განცხადებაში.

## კვიპროსში ღალიის ქართული მონასტერი გაიხსნა

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან აცნობეს, კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, 29 აპრილს, პაფოსის დასახლებაში ღალიის ქართული სამონასტრო კომპლექსი გაიხსნა.**

სამინისტროს ინფორმაციით, მონასტრის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს გურამ ოდიშარიამ და კვიპროსის ინფრასტრუქტურისა და შრომის მინისტრმა მარიოს დემეტრიადესმა. ინაუგურაციის ცერემონიის წირვა არსინეოს ეპისკოპოსმა ნექტარიოსმა ჩაატარა. წირვას ასევე ესწრებოდნენ ქართველი ეპისკოპოსი, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი საბა, არქიეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი, პაფოსის ეპისკოპოსი გეორგიოსი და ქართველი მამები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით, 2006 წელს კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. სამუშაოები 2010 წლამდე გაგრძელდა და მას ქართველი არქეოლოგები კვიპროსის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ახორციელებდნენ.„მონასტერი, სავარაუდოდ, X საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა მეფემ — დავით III-მ (ჩვ.წ.ა. 963-1001 წწ.) დააარსა. სიმდიდრით გამორჩეულ ამ მონასტერს ქართველი მეფეები მფარველობდნენ. იგი მოხსენიებულია შუა საუკუნეების როგორც ქართულ, ასევე, ბერძნულ და ლათინურ წყაროებში. X-XV საუკუნეებში მონასტერში არსებობდა ხელნაწერთა განყოფილება, სადაც დაიწერა და ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა უამრავი წიგნი, — აღნიშნავენ სამინისტროში.

## ერთჯერადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით



**ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავისთვის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება დააწესა.**

როგორც ჯანდაცვის სამინისტროდან იტყობინებიან, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 400, ხოლო ომში დაღუპულ თითოეულ მარჩენალდაკარგულს 200 ლარი გადაეცემათ.

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე (გარდა თბილისისა), ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემას უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების სააგენტო, დედაქალაქში კი თბილისის მერია. ვეტერანებსა და მარჩენალდაკარგულებს თანხის მიღება დღეიდან (6 მაისიდან) შეეძლებათ. ფულადი დახმარება გაიცემა „ლიბერთი ბანკის“ მეშვეობით.

ჯანდაცვის სამინისტრო ულოცავს ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავს.

## ხმალაძე პრეზიდენტის უფლებების გაძლიერებაზე ზრუნავს

**დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე მთავრობის ფორმირების პროცესში პრეზიდენტის გაძლიერების საკონსტიტუციო წინადადებით გამოდის.**



**სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფი ხმალაძის მიერ მომზადებულ ვარიანტს განიხილავს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს პარლამენტისთვის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენის დისკრეციული უფლებამოსილება ეძლევა.**

ვახტანგ ხმალაძის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო პროექტის თანახმად, პრემიერ-მინისტრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგენით უკამათოდ ირჩევს პარლამენტი. პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ პარლამენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პარლამენტის პირველი შეკრებიდან ან მთავრობის გადადგომიდან 10 დღის ვადაში.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, მისი წარდგენიდან არაუგვიანეს მეხუთე დღისა, პარლამენტს მთავრობის პოლიტიკურ პროგრამას და მთავრობის შემადგენლობას წარუდგენს, რომლის შექმნასაც იგი აპირებს.

ამასთან, თუ პარლამენტმა არ აირჩია საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატი, მას შეუძლია მომდევნო 10 დღის განმავლობაში თავის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით თავად აირჩიოს პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარსადგენად აუცილებელია სულ ცოტა 30 პარლამენტის წევრის ხელმოწერა. ამასთანავე, პარლამენტის წევრს უფლება აქვს, ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას.

თუ პარლამენტმა ზემოაღნიშნულ ვადაში პრემიერ-მინისტრი ვერ აირჩია, დაუყოვნებლივ იმართება არჩევნების მომდევნო ტური, რომელშიც მონაწილეობის უფლებაც აქვს წინა ორ ტურში წარდგენილ ყველა კანდიდატს. თუ არჩევნების ბოლო ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ასარჩევად საკმარისი ხმები, პრეზიდენტი მომდევნო შვიდი დღის განმავლობაში პრემიერ-მინისტრად დანიშნავს ბოლო ტურში უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატს, ან დაითხოვს პარლამენტს.

სწორედ აღნიშნული საკონსტიტუციო წინადადების გარშემო მიმდინარეობს დისკუსია.

## ვინ მოუგვარებს პრობლემებს „ატსტუპნიკებს“?

**თბილისის საკრებულოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის სხდომა გაიმართა. საკრებულოს ინფორმაციით, თბილისის ტერიტორიაზე სადგომით კეთილსინდისიერად მოსარგებლე პირების, ე.წ. ატსუპნიკების პრობლემების სამართლებრივი მოგვარების გზებზე ისაუბრეს.**



**სხდომას ის მოქალაქეები ესწრებოდნენ, რომელთაც აღნიშნული პრობლემა აწუხებთ და უბინაოდ დარჩენის საფრთხის წინაშე იმყოფებიან.**

კომისიის თავმჯდომარის კახა კუკავას თქმით, ე.წ. „ატსტუპნიკების საქმე“ რამდენიმე ათეულ ათასობით ოჯახს ეხება, რომლებმაც ვერ გაარკვიეს არიან თუ არა თავიანთი საცხოვრებელი ფართის კანონიერი მფლობელები.

— ეს ადამიანები მეორე ხარისხოვან მოქალაქეებად ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში და მათ აღნიშნულ პრობლემაში ბრალი საერთოდ არ მიუძღვით, რამდენადაც ეს არის საბჭოთა დროინდელი იურიდიული ხარვეზი, რომელსაც სჭირდება გადაწყვეტა და საკანონმდებლო რეგულირება, — აღნიშნა კუკავამ.

მისივე თქმით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია საკითხთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის პარლამენტს და ასევე ყველაფერს გააკეთებს იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც აქვს თბილისის თვითმმართველობას, რომ ეს ადამიანები გაუთანაბრდნენ თავიანთი სტატუსით ბინის მესაკუთრეებს.

### ალიან-ჩალიანი

## უკრაინაში დაშავებულთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყურადღებით ადევნებს თვალს აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და მუდმივ კავშირშია უკრაინელ პარტნიორებთან. ამის შესახებ ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა.**

მისი თქმით, ის, რაც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ხდება, სამწუხარო და ტრაგიკულია.

— ოდესაში მოხდა 21-ე საუკუნისთვის წარმოუდგენელი რამ, როდესაც მშვიდობიან პერიოდში, ქვეყნის შიგნით, გარედან ინსპირირებული დაპირისპირების გამო, ხალხი დაიღუპა და მრავალი ასეული დაშავებულია, — განაცხადა ჯალაღანიამ.



რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეებს, ჯალაღანიას ინფორმაციით, დაშავებულთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, საქართველოს საელჩო უკრაინაში და საკონსულოები დონეცკსა და ოდესაში სრული დატვირთვით მუშაობენ და მუდმივ კონტაქტზე არიან საქართველოს მოქალაქეებთან.

## ყირიმისთვის გამზადებულ ტურისტებს ჩვენკენ „გადმოვქაჩავთო“...

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ყირიმში ჩამსვლელი ტურისტების საქართველოში „გადმოქაჩვას“ აპირებს.**

**ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი სიგუამ განაცხადა. მისი თქმით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გათვლაა, რომ უკრაინელი ტურისტების რაოდენობა 100%-ით გაიზარდოს.**

— 4 მილიონზე მეტი შიდა ტურისტი ჩადიოდა ყირიმში ყოველწლიურად. გასაგები მიზეზების გამო ეს ნაკადი ყირიმში აღარ ჩავა. ყოველ შემთხვევაში წელს, ჩვენ ვგეგმავთ ამ ტურისტების ნაწილის გადმოქაჩვას საქართველოში. ამ ზაფხულს გათვლა გვაქვს იმაზე, რომ 100% გავზარდოთ უკრაინელი ტურისტების რაოდენობა და ამისთვის შემუშავებულია 80-გვერდიანი სტრატეგია. სავარაუდოდ, ერთ კვირაში გაფორმდება ხელშეკრულება სარეკლამო კომპანიასთან, რომელიც გრანდიოზულ კამპანიას გააკეთებს უკრაინაში. შეთანხმება არის ასევე მიღწეული უკრაინის საერთაშორისო ავიახაზებთან, ახალი რეისების დანიშვნაზე ბათუმის აეროპორტში, კიევის, ხარკოვისა და ლვოვის მიმართულებით, სულ საუბარია 11 რეისზე კვირაში. ასე, რომ გაიზრდება დატვირთვა არსებულ რეისებზე, — განაცხადა გიორგი სიგუამ.

მისივე თქმით, საქართველოში გაიმართება „კრიმფესტისა“ და „კაზანტიპის“ ანალოგი ფესტივალი, რომლებიც ყირიმში ტარდებოდა.

**ინტერპრესი**

### ინფორმაცია

## ახალგორთან ე.წ. საზღვარი ისევ ჩაკეტილია

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ახალგორში, ე.წ. საზღვარზე გადაადგილების ბარიერი, სამწუხაროდ, ჯერ მოხსნილი არ არის. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა.**

**მისი თქმით, ამ ეტაპზე ე.წ. საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებისთვის არის შესაძლებელი. კერძოდ, ე.წ. საზღვარი წითელი ჯვრის ეგიდით მიმდინარე აქციებისთვის არის ღია.**

**— ალბათ, დღე-დღეზე, დღეს ან ხვალ მოხდება გზის გახსნა, ამის ინდიკაცია ადგილობრივი მოსახლეობისგან არის, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.**

**მისივე თქმით, ძალაშია მაია ფანჯიკიძის ის განცხადება, რომ თუკი ადგილობრივ დონეზე ეს პრობლემა ვერ გადაწყდება და საოკუპაციო რეჟიმმა არ გახსნა ე.წ. საზღვარი, საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე საერთაშორისო ბერკეტებს აამოქმედებს.**

# გიგის რას ესიზმრებოდა, ნიკას ის ელანდებოდა

**სანამ საქართველოს პარლამენტში, ქუჩებში, ორღობეებსა და სამზარეულოებში პოლიტიკოსები, ექსპერტები, უსაქმურები, ბოზები და ჟურნალისტები ანტიდისკრიმინაციული კანონის ავკარგიანობაზე მსჯელობდნენ, უკრაინის ცა საბოლოოდ ჩამოიქუფრა და ავისმომასწავებელი გრუხუნიც გაისმა.**

## ეკლესია კანონის წინააღმდეგ

**გასულ კვირაში საქართველოს პარლამენტის მიერ ეგრეთ წოდებული „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ასე სასწრაფოდ მიღების ნამდვილ მოტივაციაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შემიძლია. თუ მოქალაქეთა შორის არნახული თანასწორობით განათლებული მსოფლიოს წინაშე კეკლუცობაზეა საუბარი, ჯერჯერობით შეგვეძლო, გვესარგებლა კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომელიც იძლევა საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობის გარანტიას რასის, სქესის, ასაკის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად. თუ, კერძოდ, რაღაც ნიშნით ვიღაცას ჩაგრავენ, ამისთვის არსებობს სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის სამართლის კოდექსები.**

მე თუ მკითხავთ, ამ კანონის მიღებაში ცუდი არაფერია: კანონი (სამწუხაროდ, აქ მასზე დაწვრილებით საუბარი შეუძლებელია) „განსხვავებულებს“ რაიმე უპირატესობას კი არ ანიჭებს, არამედ ამბობს, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან; სახელმწიფოს საზოგადოების წინაშე აქვს ზუსტად ისეთივე მოვალეობები და უნდა სარგებლობდეს ზუსტად ისეთივე უფლებებით, როგორითაც ყველა დანარჩენი.

სამწუხაროდ, ან იქნებ საბედნიეროდაც, ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა ცხადად გამოაჩინა ქართული საზოგადოებრიობის დიდი ნაწილის პოლიტიკური უმწიფრობა, ლიბერალური დემოკრატიზმის პრინციპების სრული უცოდინრობა და გაუცნობიერებელი სწრაფვა „კარგი“ დიქტატურისაკენ. ავისმომასწავებელია მაღალი რანგის სასულიერო პირების უაქტიურესი ჩართვა კანონის განხილვის პროცესში, საეკლესიო „დესანტის“ გამოჩენა პარლამენტის სხდომაზე და ულტიმატუმი – თუ კანონიდან ამოღებული არ იქნება სიტყვები „გენდერული თანასწორობა“ და „სექსუალური იდენტობა“, წმინდა სინოდი განიხილავს საკითხს კანონის მხარდამჭერი დეპუტატების შეჩვენების თაობაზე; ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არ დაუშვებს განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების პარპაშს; ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მოუწოდებს მრევლს საყოველთაო გამოსვლებისაკენ...

ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებული მთელი ეს რიტორიკა სინამდვილეში არის, – არც მეტი, არც ნაკლები, – სახელმწიფოს მართვაზე ეკლესიის კონტროლის დამყარებისაკენ სწრაფვა. ყველაფერი დანარჩენი: მაღალფარდოვანი მსჯელობა ქართულ სულიერებაზე, საზოგადოებრივ ზნეობაზე, სოდომის ცოდვასა თუ ქრისტიანულ უმწიკვლობაზე, არაფერია ამ მისწრაფების შენიღბვის გარდა.

ნიშანდობლივია საქართველოში საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნების, მილიონერ ლევან ვასაძის გასული კვირის ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლა: „თუ ამ კანონს მიიღებენ, ქართველი ხალხი პარლამენტარებს კინწისკვრით გაყრის იქიდან“ (პარლამენტიდან, **მ.დ.**).

სამწუხაროდ, მისი ამ და სხვა გამოსვლებიდან ჩანს, რომ შესანიშნავი ბიზნესმენის, ქველმოქმედისა და, საერთოდ, კარგი ადამიანის, ლევან ვასაძის საქმე აშკარად არ არის რელიგია, პოლიტიკა და პოეზია.

რაც შეეხება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, თუ მას ჭეშმარიტი ქრისტიანული მორალის პროპაგანდა სურს, ამისთვის აქვს უნიკალური შესაძლებლობა – ათასობით ეკლესია, ათი ათასობით მღვდელმსახური და მილიონობით მრევლი.

დიდი მოკრძალებით იმასაც შევნიშნავ, რომ მანამდე მღვდელმსახურებმა კარგად უნდა გაარკვიონ ეკლესიისა და სახელმწიფოს უფლებამოსილების საზღვრები და ისიც, რას ქადაგებს ქრისტეს მოძღვრება მიმტევებლობასა და მრუშობაზე.

## უკრაინაში სამოქალაქო ომია!

**ისტორიის განვითარების კანონზომიერება ამჯერადაც გამართლდა – კიევის მაიდანზე დაწყებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელსაც ფარისევლურად რევოლუცია დაერქვა, ტრაგიკული შედეგები მოიტანა - ყირიმის დაკარგვა, სამოქალაქო ომი, რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირება და რეალური საფრთხე ახალი გლობალური ომისა, რომელმაც, შესაძლოა, კაცობრიობის ისტორია დაასრულოს.**

ოდესაში, დონეცკში, სლავიანსკში, კრამატორსკში, უკრაინის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ვითარება უკიდურესად დაძაბულია – მიმდინარეობს სისხლიანი შეტაკებები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების დასაცავად თუ ხელში ჩასაგდებად. პატრიოტების მიერ ოდესის პროფკავშირების სახლზე განხორციელებული შტურმისას დაიღუპა 46 და მძიმედ დაშავდა 214 ადამიანი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიანი სამოქალაქო პირია. საბრძოლო ოპერაციებში მოხალისეების გარდა თანდათან ერთვებიან სამხედრო ნაწილები, ჯავშანტექნიკა, ავიაცია, არტილერია.

**ეს არის უკრაინელი ხალხის ბრძოლა უკრაინელი ხალხის, უკრაინული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. მართალია, დაპირისპირების ფორმალური საბაბი რუსეთთან ურთიერთობაა, მაგრამ მსოფლიოში ყველა ჭკუათამყოფელმა იცის, რომ ეს არის დაუნდობელი ბრძოლა დედამიწაზე ახალი „მსოფლიო წესრიგის“ დასამყარებლად. ცოტა უფრო შორს თუ წავალთ, ერთი მხრივ, ეს არის რუსეთის რევანში მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დაშლის გამო; მეორეს მხრივ, ეს არის რუსეთის ფედერაციის სუბიექტებად დაშლის, უფრო ზუსტად, რუსეთის მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობის მცდელობა.**

საქართველოში ძალიან ბევრია მოვლენათა შესაძლო განვითარების როგორც ერთი, ისე მეორე ვარიანტის მომხრე, ექსპერტი, ინტერპრეტატორი და წინასწარმეტყველი. სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა საქართველოს ხვალინდელ დღეზე გულწრფელად მოფიქრალი ადამიანების რიცხვი. ალბათ ამის ბრალი უნდა იყოს, რომ კარს მომდგარი გლობალური კატასტროფის წინ ქართული საზოგადოებრივი აზრი არ არსებულ „საზოგადოებრივ მორალსა“ და გაუკუღმართებულ სქესობრივ ურთიერთობათა ავკარგიანობაზე უსაგნო ლაყბობას ვერა და ვერ გასცდა.



## ორი ტური ხელისუფლებამდე

**ბოლო დროს გავრცელებული ხმები შალვა ნათელაშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრებისგან უნდა მოდიოდეს. წასვლა კი არადა, გასულ კვირას ბატონმა შალვამ ლეიბორისტული პარტიის გრანდიოზული ყრილობა გამართა და ნაცარტუტად აქცია მისი მტრების ნაოცნებარი: „15 ივნისს ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ ადგილობრივი არჩევნების პირველი ტური, რათა გავიმარჯვოთ მეორე ტურში და ბოლოს და ბოლოს, მოვიდეთ ხელისუფლებაში“! მის ამ მოსაზრებას მთლიანად ეთანხმებიან თბილისის მერობის კანდიდატი მშრომელთა პარტიიდან ასმათ ტყაბლაძე და პარტიის გენერალური მდივანი, თანამედროვე ქართული ლეიბორისტული აზროვნების გიგანტი გიორგი გუგავა. მოკლედ, ნარმანია-მელია-ლორთქიფანიძისა და თბილისის მერობაზე მეოცნებე სხვა კანდიდატების საქმე ცუდადაა, თვით მიხეილ-გელა სალუაშვილისაც კი!**

თუმცა, ისინი მთელი საქართველოს მასშტაბით მაინც აგრძელებენ საარჩევნო კამპანიას. გასულ კვირაში თბილისის მერობის ზოგიერთი კანდიდატის ყოვლად თავმდაბლურ „ხალხში გასვლას“ მეც დავესწარი. რაიმე თვალშისაცემი სიახლე არ შემინიშნავს - მართვის პროცესში ამომრჩეველთა „ჩართულობა“, მილიონი ნარგავი, სოციალური პირობების გაუმჯობესება, მზის ენერგია, ქარის წისქვილები, დროშების მოფრიალე და ტაშის დამკვრელი გოგო-ბიჭები, რამდენიმე შემთხვევითი გამვლელი, ამდენივე მათხოვარი და, რაღა თქმა უნდა, ყველგანმყოფი ქალბატონების ჯგუფი... ჰო, კინაღამ დამავიწყდა – კიდე ლამაზფეხებიანი გოგოები კანდიდატის თანმხლებ ლიმუზინებში.

## დევნილი სააკაშვილი

**26 აპრილს „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, სადაც საუბარია, ზოგადად, საქართველოში არსებულ პოლიტიკურ დევნაზე და, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის დაჩაგვრის მცდელობაზე. ცოტა უცნაურია, რომ ამ სტატიას საქართველოში მაინცდამაინც დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. არადა, ამ პოპულარული გაზეთის სარედაქციო წერილები, როგორც წესი, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის აზრს გამოხატავს. ყოფილი პრეზიდენტისადმი ასეთი ყურადღება, მეტი რომ არა ვთქვათ, ცოტა უცნაურია, მით უფრო, რომ სააკაშვილის პერსონისადმი საქართველოს პროკურატურას საკმაოდ დასაბუთებული ეჭვები აქვს და შეუძლებელია, ეს არ იცოდნენ ყოვლისმცოდნე ამერიკელებმა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამერიკის ადმინისტრაციაში ეშინიათ უპროგნოზო სააკაშვილისა, რომელმაც შეიძლება ისეთი რამ წამოაყრანტალოს, რაც სახელს გაუტეხს ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნებს.**

ამ წერილში ისიცაა ნათქვამი, ამერიკა და ნატო საქართველოს რუსეთის შესაძლო აგრესიისგან ვერ დაიცავსო. გასაგებია, რომ პატარა და ბნელი საქართველოს გამო ამერიკა რუსეთთან უპერსპექტივო ომში არ ჩაებმება, მაგრამ თუ ასეა, ჭკუას რატომღა გვარიგებენ, ა?

გასულ კვირაში გავრცელდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“ განცხადებაც, სადაც ნათქვამია, რომ პრესის თავისუფლების მხრივ, მსოფლიოში საპატიო 97-ე ადგილზე ვართ და შორს ჩამოვიტოვეთ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა, ბელორუსი, თურქმენეთი და თვით რუსეთიც კი. ერთობ სასიხარულო ცნობაა და გავიხარეთ კიდეც, თუმცა, პრესა საქართველოში მაშინ იქნება დამოუკიდებელი და თავისუფალი, როცა მას ექნება დამოუკიდებლად არსებობის ეკონომიკური საშუალება. ახლა პრესა საქართველოში თავისუფალი კი არ არის, უბრალოდ, ხელისუფლებას მისი აზრი ფეხებზე ჰკიდია და ეს საღდება თავისუფლებად და დამოუკიდებლობად.

კიდევ ერთი საერთაშორისო მასშტაბის ინფორმაცია: საქართველოში აღმოჩენილია ახალი ვირუსი, რაღაც ყვავილის მსგავსი. გასული კვირის დასაწყისში მეგობარმა ამერიკელმა მედიკოსებმა გვამცნეს, მართალია, ეს ვირუსი ძალიან საშიშია, მაგრამ შეგიძლიათ, იამაყოთ – საქართველო ჯერჯერობით ერთადერთია მსოფლიოში, სადაც იგი გავრცელდა, ეტყობა, თქვენში ერთობ ნოყიერი ნიადაგია პოლიტიკური პარტიების, რევოლუციებისა და სხვა საშიში ვირუსების აღმოსაცენებლადო. თუმცა, კვირის მიწურულს ქართველმა მედიკოსებმა ცივი წყალი გადაგვასხეს - ახალი და სასიხარულო არაფერია, ჩვეულებრივი, არცთუ საშიში ვირუსია, რომელიც ადამიანზე მხოლოდ ცხოველებიდან გადადისო! ჯერჯერობით არ დაუზუსტებიათ, ვირუსის გავრცელების ეს წესი ვრცელდება თუ არა პოლიტიკური პარტიების წევრებზე.

## ელოდეთ „კოზა ნოსტრას“!

**ახალი და უცნაური არაფერია – თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე, დღისით-მზისით გამოძიებისთვის უკვე ცნობილმა პირმა (თვითონვე გამოცხადდა პოლიციაში) ნოშრევან ნამორაძემ სასტიკად სცემა გამოძიებისა და მთელი საქართველოსთვის აგრეთვე ცნობილი პირი, ერეკლე კოდუას ძმა, ნანუკა ჟორჟოლიანის მაზლი და ბიზნესმენ ლაურა ღაჭავას ვაჟიშვილი დავით კოდუა. ამ ეტაპზე გამოძიება არკვევს, ნამორაძე მარტო დაესხა თავს კოდუას, თუ სხვებიც დაეხმარნენ. ნამორაძე ამტკიცებს, რომ მარტო იყო და კოდუასთან ფიზიკური ანგარიშსწორებისთვის საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდა. დაზარალებულის ახლობლებისა და მხარდამჭერების განცხადებებით, კოდუას თავს დაესხა ოთხი ნიღბიანი და ერთი უნიღბო პიროვნება.**

მნიშვნელოვანი ამ ისტორიაში სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებისადმი უნდობლობა და სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით დიდი ხნის წინათ უარყოფილი ველური მეთოდებისაკენ მიბრუნებაა. თავი დავანებოთ ვინმე ვირჯინიელ პლანტატორ თუ მოსამართლე ჩარლზ ლინჩს მეთვრამეტე საუკუნიდან – თვითნებურად გასამართლების მოთხოვნები დღევანდელ საქართველოშიც ხშირად ისმის. კაცმა რომ თქვას, სააკაშვილის „სამართალიც“ პირველყოფილი თემური წყობილებისთვის დამახასიათებელი წესით მოქმედებდა. დევიზიც შესაბამისი ჰქონდა - ნულოვანი ტოლერანტობა! აფრასიძეების და სხვათა გაუსამართლებლად განადგურებაც სწორედ ამის დასტურია. ნოშრევან ნამორაძე არ ნანობს თავის საქციელს და მიაჩნია, რომ სამართალი აღასრულა. ასე ფიქრობს დღევანდელ საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი და სწორედ ეს არის ძალიან საშიში. მაღალია იმის ალბათობა, რომ ხვალ სამართლიანობის დამკვიდრების კეთილშობილური მიზნით „კოზა ნოსტრას“ ტიპის საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციები შეიქმნას.

## სხვა საინტერესო ამბები

**გასულ კვირაში უთუოდ გაგახარებდათ იმის გაგება, რომ პარლამენტმა ბოლოს და ბოლოს მოძებნა გამოსავალი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს დასაკომპლექტებლად – ბორდი ორპალატიანი იქნება, ანუ ძველი ბორდელების უფლებამოსილების გასვლამდე, ახლებიც და ძველებიც შეხმატკბილებულად იღვაწებენ. უფრო ზუსტად, ძველი შვიდი ბორდელი რამდენიმე წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან მიიღებს ერთობ სოლიდურ ხელფასს... არაფრის კეთების სანაცვლოდ!**

არმიის გენერალმა თენგიზ კიტოვანმა, მილიციის გენერალმა რომან გვენცაძემ და სუკის გენერალმა ზურაბ ბაქრაძემ შექმნეს „სამოქალაქო ანტიტერორისტული ორგანიზაცია“. ასე რომ, ჩვენი უსაფრთხოება უკვე საიმედო ხელშია.

გასულ კვირაში გრძელდებოდა თბილისი-რუსთავის სამარშრუტო ტაქსების მძღოლების გაფიცვა პირადად ჩემთვის ცოტა გაუგებარი მოთხოვნებით; საქართველოში ჩამოვიდნენ უცხოელი სპეციალისტები საყდრისის ოქროს მაღაროსთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად (აბა, ჩვენმა სპეციალისტებმა რა იციან!); საქართველოს ესტუმრა თურქი მსახიობი, სავაშ ბალდარის როლის შემსრულებელი, ქართველი დიასახლისების გულთა მპყრობელი მურატ ილდიმირი...

**ნება მიბოძეთ, დასასრულს ისევ ანტიდისკრიმინაციულ კანონს მივუბრუნდე – ვინმემ ხომ არ იცით, რა შუაშია გიგის პორტრეტი ნიკას სარეკლამო ბანერზე?**

**მიხეილ დარახველიძე**

**სანამ ურაპატრიოტები ამ სათაურის გამო ჩამქოლავენ, თავს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებიდან ერთი ციტატით დავიცავ, რომელიც დავით უსუფაშვილმა მოლდოვაში გააკეთა:**

**„რუსეთი თუ ევროპა? ამ არჩევანს აკეთებს დღეს პარლამენტი — ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება-არმიღებაზეა დამოკიდებული, საქართველო ევროპისკენ მიდის თუ რუსეთისკენ“...**

**სხვაც ბევრი ილაპარაკა ჩვენმა თავმჯდომარემ, მაგრამ „თავდაცვისთვის“, ვინძლო, წერილის ჩამთავრება შევძლო, ამას ვიკმარებ და ცოტა შორიდან დავიწყებ...**

## ბოროტების იმპერიის კრახი და ნეოლიბერალური იდეოლოგიის ტოტალური შეტევა

**გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისში დაემხო რონალდ რეიგანის მიერ „ბოროტების იმპერიად“ წოდებლი სსრკ. მასთან ერთად არსებობა შეწყვიტა ვარშავის პაქტის სამხედრო ალიანსმაც და, თითქოს, ნატოც უფუნქციოდ დარჩა, რადგან ეს ალიანსი სწორედ ტოტალიტარული საბჭოეთის საპირწონედ შეიქმნა. ცივ ომში საბჭოეთის დამარცხების შემდეგ, თითქოს აღარც იდეოლოგიურ ბრძოლას ჰქონდა საფუძველი და, დედამიწაზე მეტ-ნაკლებად მშვიდი და საამური ერა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ არა, ამერიკელმა ქორებმა ერთიც იპოვნეს და მეორეც — ახალი, უფრო სწორედ დროებით კარგად დავიწყებული ძველი, ალენ დალესის ნეოლიბერალური დოქტრინა ამოქექეს, რაც ყოველგვარ „დრომოჭმულ“ ეროვნულ ტრადიციებთან ბრძოლას გულისხმობს და, უფრო მეტიც, ზოგადად ღმერთის და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი მორალის, ზნეობის უარყოფასაც ქადაგებს და ნატომაც (იგივე აშშ) ახალი ფუნქცია იტვირთა — პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედროდ დაუძლურებული, სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთის ფედერაციის უმოქმედობის გამო, ახალი გავლენის სფეროების მოპოვებას შეუდგა ფერადი რევოლუციების ინსპირირებისა და უკიდურეს შემთხვევებში დემოკრატიის დროშით ევროპა-აზიაში პირდაპირი სამხედრო ინტერვენციების გზით (ავღანეთი, ერაყი, ლიბია, სირია, ეგვიპტე, ტუნისი, იუგოსლავია, საქართველო, უკრაინა და ა.შ.), მოცემულ ქვეყნებში მარიონეტული, პროამერიკული ხელისუფლებების „დასმით“.**

იმავე დროსა და სივრცეში ლოთბაზარა ელცინის რუსეთს თავზე გადაახიეს ბერლინის კედლის დანგრევის დროინდელი, ტყლიპიანი გორბაჩოვისთვის მიცემული გარანტიები, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა — მაშინ ნატოს წევრი თუ მხოლოდ 16 ქვეყანა იყო, დღეს უკვე 28-ა!..

**რუსი ხალხისთვის ნამდვილად ღვთის წყალობას ჰგავს, რომ გაფარჩაკებულ-დაჩოქილ რუსეთს მხსნელად განგებამ ვაჟკაცი და ჭკვიანი ვლადიმერ პუტინი მოუვლინა, რომლის დარი მმართველი რუსეთს სტალინის შემდეგ არ ჰყოლია და, სტალინისავე თქმით, „დიდმა რუსმა“ ხალხმა, პუტინის მეთაურობით ნელ-ნელა იწყო წამოდგომა. ამ პროცესს ათ წელიწადზე მეტი დასჭირდა და პირველად სირიაში „აუნთო ყვითელი“ რუსეთმა ამერიკას, როდესაც ბაშარ ასადის დასასჯელად უკვე დაქოქილი ნატოს სამხედრო მანქანა გაუჩერა იანკებს, რომლებიც მაინც ვერ მიხვდნენ, რომ აღარც რუსეთი იყო „ის“, ცვედანი რუსეთი და მითუმეტეს აღარც „იმ“ ელცინის მსგავსი ფარჩაკია ვლადიმერ პუტინი, რომელმაც უკრაინაში ობამას უკვე „წითელი ბარათი აუფრიალა“.**

დიახ, იმის მიუხედავად, რომ ამერიკელები ჯერ კიდევ ფაფხურობენ კიევში, ყირიმი-სევასტოპოლის მსგავსად უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიერთება რუსეთისთვის, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია. იგივე ბედი ელის მოლდოვის დნესტრისპირეთ-გაგაუზიას. რაც შეეხება სამხრეთ, გნებავთ ამიერკავკასიას, რუსეთს საქართველოს გარდა სხვა არანაირი პრობლემა არა აქვს — ერევანი უკვე მიუერთდა ჯერ არარსებულ ევრაზიულ კავშირს და ჯერჯერობით ნეიტრალური ბაქოც იგივეს იზამს, როდესაც ამის საჭიროების რეალური დრო დადგება.

ჰოდა, ამ ფონზე ერთადერთი საქართველოა „სამგლე გოჭივით ამტყდარი“, ანუ, მხოლოდ თბილისია რეგიონში ევრაზიული კავშირის, ამ გრანდიოზული პროექტის ხელშემშლელი და ვინც მაინც ვერ ხვდება, თუ რა მოგველის ურჩობის შემთხვევაში, მათ გასაგონად „დაღეჭილად ვიტყვი“ — ორი ვარიანტია:

**1. ბრძნული — ანუ, როგორც იტყვიან, თუ „ჩათრევას, ჩაყოლას ვამჯობინებთ“, ღირსეული წევრი გავხდებით ევრაზიული, გნებავთ საბაჟო კავშირისა (რომლისკენაც უკვე დღეს „უჭირავთ თვალი“ ისრაელს, ინდოეთს, ბრაზილიასა და ჩინეთს, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპა-აზიის უფრო მცირე მოთამაშეებზე). პლუს, სოხუმ-ცხინვალის დაბრუნების პერსპექტივა;**

**და ვარიანტი 2. უგუნური და აქედან კატასტროფული — რუსეთს, მათივე განცხადებით, საბაჟო კავშირის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის პირდაპირი საზღვარი სჭირდება სომხეთთან, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი ცხინვალიდან ძალით გაჭრიან კორიდორს ბორჯომ-ბაკურიან, წალკა-ახალქალაქის მიმართულებით. რაც რუსეთ-სომხეთის საზღვრის დაფიქსირებასთან ერთად უეჭველი ალბათობით ჯავახეთის დაკარგვასაც ნიშნავს! რასაც ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირის“ (რომელსაც ჩვენში უკვე ამერიკის „შეშფოთებულ“ შტატებს უწოდებენ) კიდევ ერთხელ შეშფოთება მოჰყვება — აგვისტოს ომმა თუ ვერაფერი გვასწავლა, უკრაინის მაგალითზე მაინც ვისწავლოთ და იქნებ გავიგოთ, რომ ერთადერთი დახმარება, რასაც ვაშინგტონიდან უნდა ველოდოთ, ეს ვიქტორია ნულანდის შეშფოთება და თეთრი სახლის და მისი სატელიტი ევროპის უკბილო სანქციებია...**

ამასობაში კი დრო მიდის. დრო, რომელიც რუსეთზე, პირადად ვლადიმერ პუტინზე მუშაობს, რომლის რეიტინგმა რუსეთის შიგნით ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომელსაც მხოლოდ სტალინი თუ გაუტოლდებოდა. ამ რეიტინგს კი პუტინის ახალი, 12-წლიანი მმართველობისას მხოლოდ გამყარება თუ „ემუქრება“, რადგან იმ „პატრიოტულ ბუხარში“, რომელიც ყირიმის შემდეგ რუსეთში აგიზგიზდა, ვლადიმერ პუტინი ნელ-ნელა შეუკეთებს: ხარკოვს, დონეცკს, ლუგანსკს, ოდესას და ბოლოს დესერტად კიევსაც მიაყოლებს, როგორც „მატ გოროდოვ როსიისკიხ“ და ა.შ.

რაც შეეხება რუსეთის გარეთ, პუტინი, უკრაინის კრიზისამდეც არაერთხელ დასახელდა მსოფლიოს ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად. კიევის შემდეგ კი, ამერიკულმა ჟურნალმა „ტაიმ“, კიდევ ერთხელ დაადასტურა იგივე, ოღონდ იმ „მცირე განსხვავებით“, რომ ბარაკ ობამა შორს მოიტოვა ვლადიმერ პუტინმა.

და ყველაზე მთავარი — გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ევროპის უბრალო მოსახლეობა, რიგითი ევროპელების უმრავლესობა, მათივე ხელისუფლებებისგან განსხვავებით, აშკარად სიმპათიზირებს ვლადიმერ პუტინს და ამართლებს რუსეთის ქმედებებს უკრაინაში, როგორც პასუხს აშშ-ევროკავშირის პროვოკაციაზე ევრომაიდანზე. უფრო მეტიც — დასავლეთის ნე-

# მეც იქ მირჩევნია, სადაც ჩემი პატრიარქია!



## ანუ ზნეობრიობა თუ რუსეთს ნიშნავს, მაშინ ევროპას მე რუსეთს ვარჩევ...

ოკონსერვატორი პოლიტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე, როგორც დაპირისპირებაზე ნეოლიბერალიზმსა და ნეოკონსერვატიზმს, გნებავთ, უზნეობასა და ზნეობას, კიდევ მეტი გნებავთ? ულმერთობასა და რწმენას შორის და ამ უკანასკნელთა ლიდერად, რუსეთი და მისი პრეზიდენტი მოიაზრება.

**იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის ხელისუფლებაა ერთადერთი სოდომიზაციის პროპაგანდისტ აშშ-ევროპის ხელისუფლებების ფონზე, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აკრძალა რუსეთში გეიპროპაგანდა, შესაბამისად გეიპარადებიც და, აქედან გამომდინარე, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებაზე რუსეთში ოცნებაც კი შეუძლებელი გახდა, ვლადიმერ პუტინს არაერთხელ ჩაუგდია შოკში „დავარცხნილი“ დასავლეთის ლიბერასტი ლიდერები ვაჟკაცური, გნებავთ „ველური“ პასუხებით ჟურნალისტების მიერ დასმულ „ჩამჭრელ“ კითხვებზე, ჰომოსექსუალიზმის, ერთსქესიანი ქორწინებების თუ სხვა ლიბერალური „სიკეთეების“ შესახებ, რომლებმაც ბოლო 20 წელიწადია ლამის წალეკოს კულტურული კაცობრიობა!**

## მაგრამ ამაზე ცოტა შორიდან...

**მაშინ, ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად ზნეობრივ მსოფლიოში, პირველად გასული საუკუნის 60-იანებში წამოყვეს თავი აშშ-ში მამათმავლებმა (მაშინ ლგბტ არ არსებობდა) და საკუთარი ავადმყოფობის (რადაც ამ ფიზიოლოგიურ გადახრას მიიჩნევდა მაშინდელი მედიცინა) სტატუსი გააპროტესტეს და იგივე აშშ-ს მთავრობაში შემძვრალი პედერასტების მრავალწლიანი ლობის ზეწოლით „გაეროს“ შესაბამისმა კომისიამ 90-იანების დასაწყისში ამ ხალხს ავადმყოფის სტატუსი მოუხსნა!**

აქედან დაიწყო იგივე „გაეროს“ თუ სხვა ე.წ. უფლებადამცველი არასამთავრობოების მეცადინეობით „ჩაგრული“ ლგბტ-პედერასტების უფლებებისთვის ბრძოლა, რამაც დღეს უკვე ისეთ მაშტაბებს მიაღწია, რომ აქეთ გვიქადის წალეკვას „ჩაგრული“ უმცირესობა „მჩაგვრელ“ უმრავლესობას, იმდენად, დიდი ფინანსები და მძლავრი სახელისუფლებო ბერკეტები ჩაიგდეს ხელში თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აგრესიულ სექტად ქცეულმა ლგბტ-პედერასტებმა!

ჯერ კიდევ როდის, გასული საუკუნის 50-იანებში, სენატორ მაკარტნის კომისია, რომელიც აშშ-ს ხელისუფლებაში პედერასტების მონაწილეობის მასშტაბებს სწავლობდა, დასკვნაში წერდა: **„მამათმავლები, რაც კი შესაძლებლობები აქვთ, ერთმანეთს მაღალი საფეხურებისკენ ექაჩებიან. თუ რომელიმე მათგანი რომელიმე დაწესებულებაში მოიკიდებს ფეხს, სულ მალე იქ სხვა მისნაირებიც გამოჩნდებიან, დროთა განმავლობაში კი მთელი ძალაუფლება მათ ხელში აღმოჩნდება. ბუნებრივია, რომ ისინი კორუმპირებულები და არაპატრიოტები არიან“...**

ვიქტორია ნულანდი, ქეთრინ ეშტონი, ფილიპ დიმიტროვი, ანდრეს ფოგ რასმუსენი, კარლ ბილდი, ჯეიმს აპატურაი — აი, არასრული ჩამონათვალი იმ დასავლელი მაღალჩინოსანი „მეგობრებისა“, რომლებიც, როგორც ამბობენ, ან თავად არიან საფუძვლიანად ლეზბიანკობა-პედერასტობაში ეჭვმიტანილნი, ანდა ლგბტ საზოგადოების ლობისტობაში ხომ უეჭველად!

თუმცა, რაღა შორს მივდივართ და „წვრილფეხობაზე“ ვცდებით, როდესაც წინ გვიდევს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, მადამ ჰილარი კლინტონის ოფიციალური განცხადება, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მთელს მსოფლიოში ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვაა, ხოლო პრეზიდენტმა ობამამ, რომელსაც თავისივე აღიარებით, ჯეელობაში ჰომოსექსუალური პრაქტიკა გაუვლია კოლუმბიის უნივერსიტეტში, კვერი დაუკრა მადამ ჰილარის, რომ აშშ-ს ფინანსური დახმარება პირდაპირ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვის დონეზე.

**ამას დავუმატოთ ისიც, რომ პენტაგონის (იგივე ნატო) არმიაში ობამას მეცადინეობით ლგბტ პირთა მსახურების უფლება ზარ-ზეიმით დააკანონეს და ცხადი გახდება თუ სენატორ მაკკარტნის კომისიაში გამოთქმულ, პედერასტების მიერ ერთმანეთის „ქაჩვებს“ 21-ე საუკუნის რიჟრაჟზე რა მასშტაბებისთვის მიუღწევია, რა შედეგები გამოუღია აშშ-ში: უკვე ლეზბიანკა-პედერასტი გენერლებიც ჰყავთ, ხოლო მათი მთავარსარდალი ნაპედერასტალი (???) ბარაკ ობამა თეთრ სახლში პრეზიდენტად უზით!**

ახლა ისევ უკრაინას დავუბრუნდეთ: არსენი იაცენიუკი — სიონისტი ებრაელი პრემიერ-მინისტრი; ალექსანდრე ტურჩინოვი — რადას სპიკერი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი — ბაპტისტი მოძღვარი; სომეხი არსენ ავაკოვი და ებრაელი ალექსანდრე კირში — პირველი, შს-მინისტრი და ჰომოსექსუალი, მეორე, რადას დეპუტატი და ასევე პედერასტი; დიმიტრი იაროში — ე. წ. „პრავი სექტორის“ ლიდერი, ბანდერელი ფაშისტი ტერორისტი; ტერნიბოკა — ფაშისტური პარტია „ბოტკოვშჩინას“ ლიდერი; იულია ტიმოშენკო, დნეპროპეტროვსკელი სომეხი აღვირახსნილი დედაკაცი, რომელის საწოლშიც არაერთი ახლანდელი თუ ყოფილი მაღალჩინოსანია ნამყოფი, რითიც გაიკეთა კიდეც „ნარინჯისფერმა პრინცესამ“ პოლიტიკურ-ბიზნესკარიერა...

არა, ძმაო, უკრაინაშიც მაგრად „უქაჩიათ“ ერთმანეთი...

**ქსენოფობიაში ნუ ჩამითვლით — მავანთა ეთნიკური წარმომავლობის ხაზგასმა იმად დამჭირდა, რომ ძირითადად არაუკრაინელები არიან ევრომაიდნის ლიდერები და, აქედან, მათ ნაკლებად სტკივათ უკრაინა და ამიტომაც გახადეს ის ამერიკელების და რუსების საჯიჯგნად — კიევში მოხდა სიონისტურ-ბაპტისტურ-ბანდერულ-ფაშისტური გადატრიალება და ამას დაუჭირა მხარი აშშ-ევროპამ...**

აი, სურათი, რომლის ფონზე საქართველოსთვისაც მოიცალეს და შტეფან ფულე აფრინეს ჩვენს პატრიარქთან შესახვედრად, რომელმაც მის უწმინდესობასთან ნიანგის ცრემლები ღვარა — რის გეიპარადები და რომელი ერთსქესიანი ქორწინებები, საქართველოს მიმართ ეგეთები, არც კი გაგვიფიქრებიაო, ამ ფარისეველმა და ფულეს წასვლა იყო და დასავლეთის ფულებით გამაძღარმა, პარლამენტში მოკალათებულმა ხლისტებმა ვნების კვირაში(!) ფორსირებულად დაიწყეს მუშაობა ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, რომელიც საპატრიარქოს პროტესტის მიუხედავად, ჯერ წითელ პარასკევს მიიღეს მეორე მოსმენით 112-0-თან და ბოლოს 2 მაისს, აღარც პატრიარქის შეისმინეს და მესამე მოსმენით 115-0-თან, ჭეშმარიტად ჩრდილოეთ კორეული ერთსულოვნებით საბოლოოდ დაამტკიცეს ეს საქართველოს ამომგდები კანონი!!!

მიიღეს და თანაც დაგვცინიან: პრემიერმა ღარიბაშვილმა — ჩვენი პატრიარქი ბრძენია, დიდ პატივს ვცემო, მაგრამ ჩვენ მაინც მივიღებთ ამ კანონსაო — ვერაფერს იტყვი, მართლაც დიდი პატივისცემა მოჩანს; რესპუბლიკელების უფროსმა ხლისტმა ლევან ბერძენიშვილმა საერთოდ გაუნათლებლები გვიწოდა, ვინც ამ კანონის წინააღმდეგები ვართ. მათ შორის პატრიარქიც გაუნათლებელია? პარლამენტის თავმჯდომარემ ჯერ ნოტაცია წაგვიკითხა, რომ სწორედ მართლმადიდებლური საქციელია ამ კანონის მიღებაო და მერე — ვინც ამას ეწინააღმდეგება, ეს რუსეთში დარჩენაა და ვინც მომხრეა, ის ევროპაში მიდისო(?!) **ანუ, რა გამოდის, ჩვენი პატრიარქი რუსეთშია და იქ რჩება? ჰოდა, მაშინ წერილის სათაურს მცირე გადაფრაზირებით გავიმეორებ — თუ მისი უწმინდესობა რუსეთში რჩება, მაშინ ევროპას მეც რუსეთი მირჩევნია, მე იქ მინდა, სადაც ჩემი პატრიარქია!!!**

**დავით მხეიძე**

**P. S. ისეთი ერთსულოვნება გამოიჩინეს ნაცებ- ქოცებმა ამ კანონის მიღების დროს, რომ კოჰაბიტაცია მიმიქარავს — არავინ აღმოჩნდა პარლამენტში ისეთი რომ „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო“ ეთქვას და წინააღმდეგ მიეცა ხმა!**

**როგორც ერთ ქართულ ფილმშია, გარდაიცვალა ბებია ელპიტე! ანუ ჩემთვის ამ კანონის მიღებით დამთავრდა ის მითები, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს არა, ხვალ გაემიჯნება რესპუბლიკელ ხლისტებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი ეროვნული კაცია მთავრობაში და იგი ამიტომ დატოვა ბიძინამ პრემიერად — დღეიდან ნაცებს და ქოცებს ერთი ამერიკული სისტემის ორ შემადგენელად განვიხილავ და, საერთოდ, ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკური პარტიის ფარული წევრი ხომ არ არის?**



**თუ არადა, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო და აგერ, მალე მოვა 17 მაისი, რაც პირდაპირ ასოცირდება ანტიდისკრიმინაციულ კანონთან და ვნახავთ „ბიძინა და მისი რაზმი“ სად დადგება, აღშფოთებული ქართველი ხალხის გვერდით თუ კოლექტიურად დაესწრებიან პედერასტებზე გადაღებული ფილმის პრემიერას კინოთეატრ რუსთაველში?..**

**დ. მ.**

ბიუჯეტი

# როცა მგლისფერი ძაღლი მგელზე არანაკლებ საშიშია!

## შიდა ვალის ზრდის ტემპი სახიფათოა

**2014 წელი საქართველოსთვის შიდა ვალის ზრდის თვალსაზრისით უპრეცედენტო იქნება. მთავრობა ისეთი სისწრაფით შეუდგა ამ ტიპის ვალის აღებას, რომ წლის ბოლოს უთუოდ სარეკორდო მაჩვენებელზე გავა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სახელმწიფო საშინაო ვალის მოცულობა ერთი წლის განმავლობაში 27%-ით გაიზარდა, მხოლოდ აპრილში ვალის მოცულობა 65 მილიონი ლარით არის გაზრდილი.**

2014 წლის 30 აპრილისთვის ქვეყნის საშინაო ვალი (ე.წ. „ისტორიული ვალის“ გამოკლებით) 1,6 მილიარდ ლარს აღემატება. ვალის უმეტესი წილი, დაახლოებით 1 მილიარდი ლარი, სახაზინო ფასიან ქაღალდებზე მოდის. აქედან, 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების მოცულობა 85 მილიონი ლარით განისაზღვრება, 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები – 298,937 მლნ ლარით, 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები – 317,367 მლნ ლარით, 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები – 304,2 მილიონი ლარით. რაც შეეხება სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობას, იგი 603 მილიონ ლარამდეა.

ფინანსთა მინისტრი რამდენიმე თვის წინათ 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას მიუთითებდა, რომ საგადასახადო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლებიც გვაქვსო და ამაში თურმე შიდა ვალის მასშტაბურ ზრდას გულისხმობდა.

**„გვაქვს სხვა შემოსავლებიც. ძალიან მნიშვნელოვანია ვალის აღება. 2014 წელს ჩვენ ვაპირებდით 400 მილიონის აღებას, მაგრამ ავიღებთ 600 მილიონს“,** – რიხიანად აცხადებდა ნოდარ ხადური და დასძენდა, რომ 200 მილიონი ლარი ბანკებში გრძელვადიან დეპოზიტებზე განთავსდებოდა.

მართალია, მინისტრის ეს გამოვლა სასიამოვნო მოსასმენი არც მაშინ იყო, მაგრამ ბევრი მაინც ვერ წარმოიდგენდა, რომ ქვეყნის საშინაო ვალი ასეთი სისწრაფით გაიზრდებოდა.

მაგალითად, 2014 წლის პირველ ორ თვეში შიდა ვალი 146 მილიონი ლარით გაიზარდა, ხოლო საგარეო ვალი – 46 მილიონი ლარით. აღსანიშნავია, რომ შიდა ვალის ასეთი მასშტაბური ზრდა პირველად დაფიქსირდა.

2014 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით კი, ქვეყნის საშინაო ვალმა 1,491 მილიარდ ლარს მიაღწია. ადრე შიდა ვალის ასეთი ტემპით არათუ 2 თვეში, არამედ ერთ წელიწადშიც კი არ იზრდებოდა. მაგალითად, 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, შიდა ვალი სულ 114 მილიონი ლარით გაიზარდა.

ექსპერტ მიხეილ თოქმაზიშვილის აზრით კი, სახელმწიფოს შიდა ვალის აღებისკენ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა უბიძგებს. შეიძლება ითქვას, ახლა ეკონომიკა სტაგნაციაშია, ამიტომ იგი ასეთი ტიპის ვალის აღებას გამართლებულად მიიჩნევს. **„ქვეყანაში იყო დეფლაცია. ამჟერად გვაქვს ინფლაცია, მაგრამ უმნიშვნელო. ეკონომიკა ჯერაც არასახარბიელო მდგომარეობაშია. სახელმწიფოს კი მთელი რიგი ვალდებულებები აქვს დასაფინანსებელი, რომლის ერთ-ერთი წყარო შიდა ვალია. სახელმწიფოს მიერ ვალის აღება და ეკონომიკაში გადასროლა, გარკვეულწილად, სტიმულირებას მისცემს ეკონომიკის განვითარებას“,** – ამბობს თოქმაზიშვილი.

სპეციალისტები ჯერჯერობით არ შფოთავენ, მაგრამ იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის ვალები (როგორც საგარეო, ისე საშინაო) დიდი სისწრაფით იზრდება, სახელმწიფო მოხელეებს ბიუჯეტის დაგეგმვისას მეტი სიფრთხილე მართებთ. მით უფრო, რომ დღევანდელი მთავრობის წევრთა ნაწილი სულ რაღაც 2 წლის წინათ ნაციონალურ ხელისუფლებს, „ვალების წამოკიდების“ გამო, სასტიკად აკრიტიკებდა.

**ბექა დანელია**



საეჭვო კვლევა

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE

# ვინ ენდობა ნავაროს უწყებას?!

## წინასაარჩევნო განწყობები ციფრებში

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის უცხოელი წარმომადგენლები სულ რაღაც ოთხი დღით ესტუმრნენ საქართველოს წინასაარჩევნო გარემოს შესაფასებლად. საკითხავია, ამგვარი მოკლე ვიზიტით შეძლებდნენ თუ არა, ჯეროვნად შეესწავლათ ის პროცესები, რაც ჩვენში იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ მათ მიერ გაკეთებული ანგარიში საკმაოდ მოცულობითია.**

დელეგაციის წევრები: პერ ეკლუნდი, სემ გეჯდენსონი, რობერტ ადამსი და ლორა ჯუიტი **NDI**-ის თბილისის ოფისის დირექტორ ლუის ნავაროსთან ერთად იკვლევდნენ საარჩევნო გარემოს და ზოგადად არჩევნებისთვის მზადების პროცესს.

**„საქართველოში კვლავაც სახეზეა დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები,** – ნათქვამია ანგარიშში, – **თუმცა კვლავ რჩება პრობლემატური საკითხები, რომელთა რეაგირების გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია“.**

* * *

**15 ივნისს საქართველოს ამომრჩეველი 71 ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აღმასრულებლებსა და კანონმდებლებს აირჩევს. მათ შორის: საკრებულოს 2088 წევრს, ასევე ყველაზე მსხვილი ქალაქის მერებს და დანარჩენი 59 მუნიციპალიტეტის გამგებელს.** საქართველოს ისტორიაში პირველად აირჩევა ყველა მერი და გამგებელი პირდაპირი წესით. ანგარიშში ნათქვამია, რომ არჩევნების შედეგების გავლენას ცდება მერების, გამგებლების და საკრებულოს წევრების თანამდებობის დაკავებას. რადგან პარტიული სიით არჩევნების შედეგები განსაზღვრავს, თუ რომელი პარტია მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელ პარტიას ექნება წვდომა სატელევიზიო ეთერზე მომდევნო, 2016 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების დროს.

დელეგატები სამწუხარო ფაქტად მიიჩნევენ იმას, რომ საქართველოში პოლიტიკური გარემო კვლავ ძალიან პოლარიზებულია. მათი აზრით, ამას ძირითადად განსაზღვრავს ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის არსებული დაძაბულობა. რადგან შეხვედრისას დელეგაციამ ამ პოლიტიკური დაპირისპირების ქვეყნის მართვაზე გავლენის ნიშნები შეამჩნია, დასკვნაც შესაბამისი გააკეთა: **„არჩევნები ამ დინამიკის მიღმა გადასვლის შესაძლებლობებს გვთავაზობს“,** – ნათქვამია ანგარიშში.



დელეგატები მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ფაქტსაც, რომ 2012 წლის ოქტომბრისა და 2013 წლის მარტს შორის პერიოდში ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე 5000-ზე მეტი საჯარო მოხელე გაათავისუფლეს ან გადადგა. მათთვის შემაშფოთებელია ის, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანები თანამდებობის იძულებით დატოვებაზე საუბრობენ (მონიტორინგის წევრები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციას ეყრდნობიან).

* * *

**15 ივნისის შემდეგ საარჩევნო კოდექსი, შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, დაუყოვნებლივ გადახედვას საჭიროებს, მიიჩნევენ NDI-ში.**

დელეგატთა შეფასებით ზოგიერთი ცვლილება მათ შეშფოთებას იწვევს. მაგალითად, ვიცით, რომ კანონი ადგენს მერობის, გამგებლობის კანდიდატების წარდგენას, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ მათი წარდგენა და არა საინიციატივო ჯგუფებს. ამ დროს კი საქართველო თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, შეასრულოს კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-7(5) მუხლი, სადაც წერია, რომ სახელწიფომ პატივი უნდა სცეს მოქალაქის უფლებას, ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე დაიკავოს ნებისმიერი პოლიტიკური ან საჯარო თანამდებობა, როგორც ინდივიდუალურად, ისე როგორც პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წარმომადგენელმა. ასე რომ, ახალ კანონსა და საერთაშორისო ვალდებულებებს შორის სრული შეუსაბამობაა.

დელეგატები ანგარიშში ეხმიანებიან ნუგზარ წერეთლის ცემის ფაქტს, გიგი უგულავასთვის კვერცხების სროლას და დასკვნით ნაწილში წერენ, რომ კანონის უზენაესობასთან ერთად აუცილებელია, თავიდან იყოს აცილებული შერჩევითი სამართლის როგორც არსებობა, ისე მის შესახებ შთაბეჭდილება. მათ აშფოთებთ ისიც, რომ წინა ხელისუფლების დაახლოებით 90 თანამდებობის პირი დაპატიმრებულია ან მათ წინააღმდეგ დაწყებულია გამოძიება... **„სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარი კვლავ ბუნდოვანია. პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის ბრალდებები სხვა მხრივ ცოცხალ პოლიტიკურ გარემოს ჩრდილს აყენებს. მიუკერძოებელი მმართველობის, კამპანიის კონსტრუქციულად წარმართვის, ოპონენტებისა და უმცირესობის უფლებების დაცვის და ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების პატივისცემით პასუხისმგებლობა ახლა საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ!“,** – ასეთი კატეგორიულია უცხოელი დამკვირვებლების ტონი.

მოკლედ, დელეგატები ღიად და გასაგებად უქნევენ თითს ხელისუფლებას და არც იმას ერიდებიან, უთხრან, თუკი ჭკუით არ მოიქცევით და ნაციონალების დევნას არ შეეშვებით, ყურსაც აგიწევთო. ვერ გეტყვით, ოთხ დღეში რა ისეთი ვერსიები მიაწოდა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ ოთხივე დელეგატი სათავისოდ გადაიბირა, თუმცა, ის უფრო საინტერესოა, რას ეუბნებოდნენ უცხოელ სტუმრებს შეხვედრებზე სხვები: მაგალითად, პრემიერ-მინისტრი, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, პარლამენტის წევრები, მედიის წარმომადგენლები თუ სამოქალაქო სექტორი, რომელთაც ასევე „დიდი დრო“ დაუთმეს დელეგატებმა? **„NDI არ აპირებს, ჩაერიოს საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს“** – ხაზგასმით აღნიშნავენ სტუმრები, თუმცა, რჩება შთაბეჭდილება, რომ უკვე ჩარეულია...

* * *

ამის პარალელურად **NDI**-იმ 26 მარტიდან 18 აპრილის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი განწყობის შესასწავლად კვლევა ჩაატარა. რეიტინგები გუშინ გამოაქვეყნა. 4 ათასამდე გამოკითხულიდან 46 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატიაა. 41 პროცენტი კი პირიქით ამბობს. ნიშანდობლივია, რომ გასული წლის ნოემბერში 54 პროცენტი ფიქრობდა, რომ ჩვენში დემოკრატიაა. რესპონდენტთა 35 პროცენტის აზრით, 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ კრიმინალის დონე გაიზარდა. 46 პროცენტი ამბობს, რომ კრიმინალის დონე იგივე დარჩა. 49 პროცენტის აზრით სამუშაო ადგილები არ გაზრდილა, ხოლო 43 პროცენტი აცხადებს, რომ პირიქით – შემცირდა.

კითხვარებს შორის მოხვდა ასეთი საინტერესო თემა: რჩება თუ არა ივანიშვილი გადაწყვეტილებების მიმღებ პირად პოლიტიკაში? 31 პროცენტი ამ მოსაზრებას ეთანხმება, ხოლო მათგან თითქმის ნახევარი ამ ფაქტს გამართლებულადაც კი მიიჩნევს. მეტიც, რესპონდენტთა დიდ ნაწილს მისაღები ჰგონია ბიძინა ივანიშვილის მიერ გიორგი მარგველაშვილის გაკრიტიკება, თუმცა კი, გამოკითხულთა 21 პროცენტმა ამ ფაქტის შესახებ არც კი იცოდა...

ყველაფრის მიუხედავად, გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი გზით ვითარდება...

* * *

**ზოგადად იმის მტკიცება, რომ სახელისუფლებო რგოლი თანდათან რეიტინგს კარგავს, დიდად არაფრის მომცემია.** ამას სულ რაღაც თვენახევარში თავად გასცემს პასუხს საზოგადოება, როცა საარჩევნო ყუთთან მივა.

**NDI**-ის კვლევებზე საუბრისას კი ექსპერტი **ვახტანგ ძაბირაძე** ასეთ კომენტარს აკეთებს: **„სამართლიანობის აღდგენის პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს და არანაირ პოლიტიკურ დევნაზე არ შეიძლება იყოს საუბარი. NDI-ის წარმომადგენლებს ეს ინფორმაცია ნაციონალური მოძრაობის წევრებმა მიაწოდეს, რომელსაც დელეგატები ბრმად იმეორებენ. საერთოდ კი მინდა გითხრათ, როდესაც ზოგიერთი ორგანიზაცია სამართლიანობის აღდგენის პროცესს პოლიტიკურ დევნად აფასებს, ეს არის ზღვაში წვეთი იმასთან შედარებით, რასაც თავის დროზე NDI დემოკრატიის მიღწევად ნათლავდა“.**

**თეა მოსია**

ტერიტორიული ერთიანობა



# პწკენა-პწკენით გვაორსულებენ?!

**აფხაზმა სეპარატისტებმა გერმანიაში პოსტდამის მრეწველთა კლუბის კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ამ კონფერენციაზე სეპარატისტებმა აფხაზეთის, როგორც რესპუბლიკის, პრეზენტაცია გამართეს. კონფერენციაში აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაციას პალატის თავმჯდომარე გენადი გაგულია ხელმძღვანელობდა.**

**„აფხაზური დელეგაციის მუშაობის გრაფიკი ნაყოფიერი და დატვირთული იყო. დელეგაციამ ჩაატარა შეხვედრები გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან და გერმანელ მეწარმეებთან. შეხვედრის ფარგლებში განიხილებოდა აფხაზეთის რესპუბლიკაში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მსხვილი და მსოფლიოში ცნობილი კომპანიების წარმომადგენლობების გახსნის საკითხები“,** — წერს აფხაზური პრესა.

მათივე ინფორმაციით, ვიზიტის პირველ დღეს აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელმა ანდრეი ზვერევმა მიიღო. ზვერევმა აფხაზური დელეგაციის ყოველმხრივი დახმარების მზადყოფნა გამოთქვა სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის საქმეში.

შეხვედრის შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიაში აფხაზეთის შესახებ გამოფენის მოწყობის თაობაზე, სადაც წარმოდგენილი იქნება აფხაზეთის რესპუბლიკის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალი.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, გამოფენა-პრეზენტაციისათვის მზადება უკვე დაწყებულია. კონფერენციაზე აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი გენადი გაგულია ანგარიშით წარსდგა თემაზე — „არსებული საინვესტიციო სიტუაცია რუსულ-აფხაზურ შავიზღვისპირა რეგიონში სოჭის ოლიმპიადის შემდეგ“. კონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს ვიდეორგოლი აფხაზეთის შესახებ, მათ დაურიგდათ ბუკლეტები ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ინვესტიციების შესახებ. მთელი ეს მასალა გერმანულ ენაზე იქნა წარდგენილი.

კონფერენციის მონაწილეებს აფხაზური კერძების დეგუსტაციაც შესთავაზეს. კონფერენციის ყველა მონაწილის მაგიდაზე აფხაზური დროშა იდგა, რამაც, როგორც აფხაზური მედია წერს, კონფერენციის იმ მონაწილეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია, რომლებმაც ადრე აფხაზეთზე არაფერი იცოდნენ.

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარე გია ვოლსკი ამბობს, რომ სეპარატისტების გერმანიაში ვიზიტი ისეთივე აქტივობად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ეს იყო იტალიის შემთხვევაში.

**„საკმარისი გახდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევა და ახსნა ოფიციალური ხელისუფლებისთვის, თუ რასთან აქვთ საქმე და ეს საკითხი დამთავრდა. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაშიც ტყუილად ხარჯავენ ფულს და ენერგიას, ვინაიდან აფხაზეთის ტურისტული ინფრასტრუქტურა გერმანიაში არ აინტერესებთ. საკმარისია გაერკვნენ რა ხდება, იმწუთში ეს თემა დახურული იქნება. ოფიციალური მხარისთვის ეს თემა ისედაც დახურულია. ვფიქრობ, ამაოდ დაშვრებიან. რასაკვირველია, ამას არანაირი გაგრძელება არ ექნება“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას გია ვოლსკმა.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე სვამს კითხვას, როგორ მოიქცევა ასეთ მდგომარეობაში აზერბაიჯანი და მოლდოვა. მისივე განცხადებით, ორივე სახელმწიფო საპროტესტო ნოტით მიმართავდა გერმანიას და საგარეო საქმეთა სამინისტროში ახსნა-განმარტებისთვის დაიბარებდნენ გერმანიის ელჩს, რომელსაც გადასცემდნენ საპროტესტო ნოტას, მაგრამ ეს ჩვენთან არ მომხდება.

> **საბოლოო ჯამში, ევროპა აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს?**

**„იტყვიან, რომ ეს არაფერია, გერმანია აღიარებს ტერიტორიულ მთლიანობას, რომ სექტემბერში ნატოს სამიტია მოსალოდნელი, ჩვენ გერმანიის იმედი გვაქვს და ამ დროს, გერმანია არავითარ შემთხვევაში, აფხაზეთი გინდ იყოს და გინდ არა, მხარს მაინც არ დაგვიჭერს. უბრალოდ, ჩვენ თანდათანობით გვაჩვევენ იმას, რომ პწკენა-პწკენით პატარძალი ორსულდება. საბოლოო ჯამში, ევროპა აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, აი ეს არის და ამას, როგორც ჩანს, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო შეგუებულია.**

**ეს კონტაქტები ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე იყო. შარშან შემოდგომაზე გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობა სოხუმში იყო. მაშინვე ვთქვი, რომ აუცილებელია ახლავე პრევენციული ზომები. აუცილებელი იყო ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს განეცხადებინა გერმანიის საელჩოსათვის, რომ, თუ მსგავსი კონტაქტები გაგრძელდება, ეს ხელს არ შეუწყობს გერმანია-საქართველოს მეგობრულ ურთიერთობებს“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცინცაძე.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე პრობლემის სერიოზულობას უსვამს ხაზს და აცხადებს, მნიშვნელოვანი მომენტია ის ფაქტი, რომ ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის პოზიციაზე დამოკიდებულია საქართველოს ნატოში გაწევრება.

**„არაა გამორიცხული და რაღაცა წრეებში არის ამაზე ლაპარაკი, რომ ნატო დათანხმდეს საქართველოს გაწევრებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე. თუკი ევროპული საზოგადოება და პოლიტიკური წრეები შეეჩვევიან ამ ერთეულების დამოუკიდებლად აღქმას, მერე ევროპულ სტრუქტურებში მივლენ ასეთ გადაწყვეტილებამდე, რომ საქართველოს ნატოში გაწევრებისას ეს რეგიონები აღარ ფიგურირებდნენ.**

**ამ დებულების წამოყენება ევროპელების მხრიდან დიდ სირთულესთან არ იქნება დაკავშირებული, უფრო გაიოლდება. არაა გამორიცხული, ასეთი ფონის შექმნას ემსახურებოდეს მსგავსი ნაბიჯების გადადგმა. ამას სერიოზული რეაქცია უნდა მიეცეს. ძალიან მაინტერესებს, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რა პოზიცია იქნება საჯაროდ გაცხადებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

**თამთა ქარჩავა**

დედაქალაქი

# „არაბუნებრივი რეაქციების კასკადი“,

## ანუ არგუმენტებული უარი თუ ორივე ერთად?

**„ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ნახევრადდაფარული თუ აშკარა დაპირისპირება, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაცების დამარცხების მიუხედავად, გამუდმებით მიმდინარეობს. პოლიტიკურ ოპონენტთა დაპირისპირება საზოგადოების უმრავლესობისთვის ხშირად ლატენტურია, ფარული, ზოგჯერ კი სააშკარაოზე გამოდის ამა თუ იმ საკითხისადმი დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამო. ასეა გახმაურებული „ხრუშჩოვკების“, ზოგადად ავარიული სახლების პრობლემებისადმი მიდგომის მხრივ, ასეა საქალაქო ტრანსპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობის — ტრამვაის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. ამჟამად კი დაპირისპირების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული თემაა ცნობილი პროექტი „პანორამა თბილისი“, რომელიც განსახილველად დედაქალაქის მერიას საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა მარტის მიწურულს წარუდგინა. ამ ცოტა ხნის წინათ კი ცნობილი გახდა, რომ ამ პროექტის განხორციელებამდე საქმე, სულ მცირე, ადგილობრივი, მათ შორის თბილისის მერის არჩევნებამდე გადაიდო, რადგან მას, ჯერჯერობით მაინც, „წითელი შუქი“ აუნთეს.**

მკითხველს შევახსენებთ, რომ „პანორამა თბილისი“ — მასშტაბური პროექტია, რომელიც დედაქალაქის ისტორიულ, მთაწმინდა-სოლოლაკის უბანში, ბუნებრივი ლანდშაფტის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე სრულიად ახალი ტიპის განაშენიანების მქონე უბნის შექმნას ითვალისწინებს. მერიაში წარდგენილი განაცხადიც სწორედ „პანორამა თბილისის“ ფარგლებში განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ნებართვის მიღებას ეხება. თბილისის მერიამ თანაინვესტირების ფონდისთვის მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარე მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე უარი განაცხადა, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ პროექტის ფრთაშესხმის დაწყება სულ მცირე მანამდე მაინც შეჩერდა, ვიდრე თბილისის მერიის თავკაცის სავარძლისთვის დაწყებულ ბრძოლაში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა არ გახდება ცნობილი. თუ ეს არჩევნები კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წამოყენებულმა კანდიდატმა მოიგო, ამ მასშტაბური პროექტის განხორციელებას წინ ვეღარაფერი დაუდგება:

— ორ თვეს როგორმე მოვითმენთ და შემდეგ იმას გავაკეთებთ, რაც თბილისისთვის და მთელი ქვეყნისთვისაა საჭირო, — აღნიშნა საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „პანორამა თბილისის“ სოლოლაკი-მთაწმინდის უბანში აგების ალტერნატივად დედაქალაქის მერიამ თანაინვესტირების ფონდს ჩუღურეთის უბანი შესთავაზა. კერძოდ, მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, თანაინვესტირების ფონდის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სრულიად დაუსაბუთებელია ესოდენ მასშტაბური პროექტის განხორციელებისას აუცილებელი **„განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის მიზანშეწონილობა“.** სწორედ ამის გამო, **„თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიამ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც თანაინვესტირების ფონდს უარი ეთქვა მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გზატკეცილის მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე ქალაქგეგმარებითი მიზნით გაცემაზე“.**

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ კომისიამ, წარდგენილი კონცეფციიდან და პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, განმცხადებელს პირველ ეტაპზე ქალაქგეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მხარეების სათანადო დასაბუთების მომზადების რეკომენდაცია მისცა, რაც, ბუნებრივია, შესაბამის კვლევებს საჭიროებს. კომისიის წევრთა „საერთო აზრით“, **„ქალაქგეგმარებითი კუთხით, შედარებითი კვლევა-ანალიზის საფუძველზე“ აგრეთვე აუცილებელია „ტერიტორიის სწორად შერჩევა“.**

ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ **„თბილისს, დასაბუთებული მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში, გააჩნია პოტენციალი ალტერნატიულ ტერიტორიებზე მსგავსი პროექტების განსახორციელებლად. კერძოდ: 1. რკინიგზის გადატანით ქალაქის ცენტრში გამოთავისუფლდება დაახლოებით 80 ჰექტარი ფართის ტერიტორია, რაც იძლევა ქალაქის ახალი ცენტრის, სასტუმრო კომპლექსისა და ბიზნესცენტრის დაგეგმარების საშუალებას ჯანსაღი ინფრასტრუქტურით, რომელიც უმტკივნეულად გახდება ქალაქის ორგანიზმის სრულყოფილი ნაწილი და სტიმულს მისცემს მიმდებარე ტერიტორიების განვითარებას. 2. ასევე შესაძლებელია, შეირჩეს ჩუღურეთის რაიონში, მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსენალის მთის ფერდობზე, ყოფილი არსენალის ტერიტორია ანალოგიური იდეის „პანორამული ხედვით თბილისზე“ განხორციელება, საიდანაც საინტერესო ხედები იშლება ქალაქზე“.**

„პანორამა თბილისის“ სოლოლაკის რაიონში განთავსების ალტერნატივად მის მოპირდაპირედ, მტკვრის მარცხენა მხარეს არსენალის მთის ფერდობის შეთავაზებას, მერიის კომისიის წევრთა მოსაზრებით, ამ უბანს შემდგომი განვითარების კარგი პერსპექტივა აქვს, რაც თბილისის ზღვის მხარეს ბუნებრივი სარეკრეაციო სივრცისა და სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების კარგ შესაძლებლობაში გამოიხატება. ცალკეა აღნიშნული ისიც, რომ ასევე საგულისხმოა ამ მხრივ **„თბილისის ზღვის მიმდებარედ უკვე აქტიურად განვითარებადი სარეაკრეაციო სივრცეც“.**

თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების კომისიის „პანორამა თბილისის“ სოლოლაკის რაიონში მოწყობასთან დაკავშირებით თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების კომისიის წევრთა დასკვნას **„არაბუნებრივი რეაქციების კასკადი“** უწოდა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. მან ისიც აღნიშნა, რომ ახალი პროექტის განხორციელების მაგივრად ძველი სახლების შეკეთებას არც ერთი ინვესტორი არ მოისურვებს.

**ოთარ ტურაბელიძე.**

**P. S. ასეთია „პანორამა თბილისის“ მასშტაბურ პროექტთან დაკავშირებული სადღეისო ვითარება. როგორი იქნება დედაქალაქისთვის ამ არნახულად გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელების მომდევნო პერიპეტიები, ამას ცოტა ხანში შევიტყობთ. მანამდე კი, ვფიქრობთ, მერიის კომისიის წევრთა მოსაზრება ამ პროექტის ჩუღურეთის რაიონში არსენალის მთის ფერდობზე გადატანის თაობაზე, მისი თბილისის ზღვის მიმართულებით განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, ნამდვილად საგულისხმოა. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს დედაქალაქის მესვეურთაგან და ინვესტორთაგან ამ წლების მანძილზე სრულიად უყურადღებოდ მიტოვებულ რაიონს ბოლო წლებში გარკვეული სასიკეთო ინფრასტრუქტურული ძვრები დაეტყო, „პანორამა თბილისის“ ამ მიმართულებით განვითარება კი ამ უაღრესად სასიკეთო პროცესს დამატებით მძლავრ იმპულსს მისცემს.**

**ვფიქრობთ, რომ თბილისში სულაც ორივე პროექტის განხორციელება იქნება შესაძლებელი, რაც დედაქალაქის ინფრასტრუქტურაზე, ერთიანად მისი ეკონომიკის განვითარებაზე უაღრესად დადებითად აისახებოდა, თუმცა, ეს, ცხადია, უკვე სპეციალისტებისა და ქალაქის მესვეურთა განსჯის საგანია.**

**ისე კი, კაცმა რომ თქვას, ამის თაობაზე თავად თბილისელთა აზრის გაგებაც არ იქნებოდა ურიგო...**

**ო. ტ.**

№88. სამშაბათი, 6 მაისი, 2014 წელი.

# ბიუროკრატიის ბნელ დერეფნებში

**დიდოსტატის ეს ამონაკვნესი, რომელიც ხალხურ თქმად შემოგვინახა მატიანემ, მიანიშნებს მავანთა უარყოფით დამოკიდებულებას ყოველი სილამაზის შემოქმედისადმი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სასიკვდილო ცოდვად მიჩნეული შურით, ისტორიულად ქართველობისთვის დამახასიათებელი „უჩემოდ ვინ იმღერეთას" სინდრომით, ან იმ „უბრალო" მიზეზით, რასაც თანამედროვენი კონკურენტთან ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდად მიიჩნევენ. ყველა შემთხვევაში ეს, მორალურად – საძრახისი ქმედებაა, იურიდიულად კი ხშირად ხვდება იმ ველში, რასაც სისხლის სამართლის დანაშაული ჰქვია!**

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა გავეცნობით უბრალო თელაველი კაცის, სახალხო მკურნალ ბიჭიკო გაგნიძის სახელთან დაკავშირებული სასამართლო საქმის მასალებს, რომელიც უკვე მერამდენე წელია მიმდინარეობს, მაგრამ სრულიად უშედეგოდ – რა თქმა უნდა, ავ ბედთან შეურიგებელ, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის კახური სიჯიუტით მაძიებელ ბიჭიკო გაგნიძისათვის.

სახალხო მკურნალის ყველა უბედურება კი იმ დღიდან დაიწყო, როცა მან შემთხვევით მიაგნო ბალახეულით წამლის დამზადების რეცეპტს, რომელსაც უამრავი დაავადებისგან განკურნების საოცარი უნარი აღმოაჩნდა. სწორედ ამ, პაციენტთათვის საბედნიერო თუ მისთვის სავალალო დღიდან, ბიჭიკო გაგნიძეს არც ჯანმრთელობას მოწყურებული უიმედოდ დაავადებული ადამიანების ვიზიტები დაჰკლებია და არ მოშურნეთა თვალი. ბიჭიკო გაგნიძის ოფისთან პაციენტების გრძელი რიგი დადგა, რადგან, როგორც დაავადებულები ამტკიცებდნენ, გაგნიძის მიერ ბალახებისგან დამზადებული პრეპარატი თითქმის დაუჯერებელ ეფექტს ახდენდა და უამრავი მათგანი განიკურნა ისეთი მძიმე ავადმყოფობებისაგან, როგორც გახლდათ ონკოლოგიური დაავადებები, გაფანტული სკლეროზი, ღვიძლის დაავადებები და სხვა.

ამ ფაქტმა მიიქცია ექიმებისა და სპეციალისტების ყურადღება. 2009 წლის 18 სექტემბერს თბილისში, ტატიშვილის ქუჩა №36-ში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სახალხო სამკურნალო დარგის ერთ-ერთი პატრიარქის ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ შექმნილ სამკურნალო პრეპარატებს „დომენტოლსა" და „გაგელონს". პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ქართული კლასიკური მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პროფესორები მაია ბერიძე და გია მაცაბერიძე, ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ავთანდილ ვანაძე, ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო კოლეჯის დირექტორი, პროფესორი გურამ ხაჭაპურიძე, სამხედრო ექიმი გადაუდებელი ქირურგიის დარგში დავით მეტრეველი, ჟურნალისტი გიგლა გობეჩია, წყნეთის ეკლესიის მოძღვარი მამა იოანე, მედიცინის დარგის წარმომადგენლები მაყვალა ჩირიკაშვილი და ოთარ მჭედლიშვილი, ექიმი მარინა დუნდუა, პაციენტები, რომელთაც უმძიმეს დაავადებებს თავი დააღწიეს სწორედ გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატების წყალობით.

მაგრამ ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ პრეპარატი ჯერჯერობით არ არის გამოკვლეული მეცნიერულად, არაა დადგენილი დაავადებებზე ზემოქმედების ფორმები, ამის გაკეთება კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ისიც აღინიშნა გულისტკივილით, რომ ხელისუფლება ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ჭეშმარიტად საუკუნის მიგნებას, რადგან პრეპარატი თითქმის შეუძლებელს აკეთებს ონკოლოგიაში – თავისუფლად უმკლავდება პირველ და მეორე სტადიებს, ხშირად, მესამე სტადიაში მომძლავრებულ სიმსივნის მეტასტაზებსაც კი სპობს და რამდენიმე კურსის ჩატარების შემდეგ სასიკვდილოდ განწირული ადამიანი ცხოვრების ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა ისიც, რომ უამრავი ადამიანი დაიხსნა სიკვდილის კლანჭებისაგან ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძემ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას ათასობით მადლიერების გამომხატველი წერილი ადასტურებს, რომელსაც მორჩენილი პაციენტები უგზავნიან სახალხო მკურნალს. ამ ბარათებში სრულადაა გადმოცემული ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ გამოჯანმრთელებული ადამიანების სულისკვეთება და მადლიერების ის ვეებერთელა გრძნობა, რასაც საწოლს მიჯაჭვული და შემდეგ გამოჯანმრთელებული პაციენტები გამოხატავენ მათი გასაჭირისგან მხსნელის მიმართ.

სწორედ ამის შემდეგ დაიწყო უბედურებათა მთელი წყება. უპირველესად აფორიაქდა ფარმაკომაფია, რომლებიც უცხოეთში კაპიკებად ნაყიდ პრეპარატებს მამასისხლად ჰყიდდნენ ავთვისებიანი სიმსივნით თუ სხვა დაავადებებით გათანგულ უმწეო ადამიანებზე. ხალხი ონკოლოგიური საავადმყოფოს ნაცვლად გაგნიძის ოფისს მიაწყდა.

ერთი შეხედვით, მართლაც დაუჯერებელია, რომ ერთადერთმა პრეპარატმა უამრავ მძიმე დაავადებას უმკურნალოს, რომელთა მეტი წილი მოურჩენლად და საბედისწეროდ არის აღიარებული მსოფლიოს კლასიკური მედიცინის მესვეურთა მიერ. თუმცა, ბატონი ბიჭიკო ამაში უცნაურს ვერაფერს ხედავს და განმარტავს, რომ ყოველი ამქვეყნიური სიცოცხლე ბუნების წიაღიდან მოდის და მისი პრეპარატების საიდუმლოც ბუნების მიერ **„ბუნებრივად გამოყვანილი"** ყვავილები და ბალახებია, რომელთა ფარმაცევტული შესაძლებლობა კაცობრიობის მიერ ჯერ კიდევ ზერელედ არის შესწავლილი.

მაგრამ, რევანშის გრძნობით გამსჭვალული ფარმაკომაფია ამოქმედდა და საკმაოდ ძლიერი იერიში მიიტანეს სახალხო მკურნალზე.

შურისძიების იარაღად გამოიყენეს იმ დროს ნაციონალების კონტროლქვეშ მოქცეული ტელეარხი **„იმედი"**, სადაც მოწვეული იქნენ სპეციალისტები და სახალხო მკურნალი. ლონისძიებას მოწმეებად ესწრებოდნენ გაგნიძის მიერ განკურნებული ადამიანები, მაგრამ მათ არავინ მოუსმინა. ძირითადად გაგნიძეს ბრალდებას უყენებდა რამდენიმე ანგაჟირებული პირი, რომელთა მტკიცებით თითქოს მათ ახლობლებზე დამღუპველი გავლენა იქონია სახალხო მკურნალის პრეპარატმა. და რაც მთავარია – არავითარი კონკრეტიკა, გაგნიძის წამალი უვარგისი და საშიშიაო ადამიანებისთვის!

ვერც მოწვეულმა სპეციალისტებმა თქვეს რამე კონკრეტული გაგნიძის პრეპარატების ავ-კარგზე და არც მათ მიიღეს მხედველობაში ის გარემოება, რომ მათივე კოლეგების დასკვნით გაგნიძის წამალს არ გააჩნია არავითარი გვერდითი მოვლენა და იგი ფაქტობრივად ბიოსტიმულატორია, რომელსაც აქვს გარკვეული სამკურნალო თვისებებიც. არც იმ ადამიანების აზრით დაინტერესებულა ვინმე, რომელთაც კომპეტენტური ექიმების დასკვნით რამდენიმე კვირის სიცოცხლე ჰქონდათ დარჩენილი, გაგნიძის პრეპარატების მიღების შემდეგ კი დღესაც – ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ, ჯანმრთელები არიან და შრომას აგრძელებენ.

სიტყვა არც გაგნიძეს ამოაღებინეს და, როგორც იტყვიან, **„აუტოდაფე"** შედგა, ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატი ხალხისთვის საზიანოდ გამოაცხადეს, მაგრამ ყოველგვარი კომპეტენტური დასკვნების გარეშე, აპრიორი, სიტყვიერი კაზუისტიკის საფუძველზე!

ძირითად ბრალდებად კი ის წაუყენეს, რომ სათანადო სამედიცინო განათლების არმქონე ადამიანმა როგორ შეიძლება ისეთი პრეპარატი გამოიგონოს, რომელიც ლამის იდეალურ პანაცეად ერგება უიმედო ავადმყოფებსო, თითქოს ზაზა ფანასკერტელს, თურმანიძეს ან სხვა ცნობილ სახალხო მკურნალებს გავლილი ჰქონოდეთ სამედიცინო აკადემიის სრული კურსი!

მაგრამ პაციენტები სხვა აზრისანი იყვნენ და ისინი კვლავ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ სახალხო მკურნალთან. იყო სასწაულები, თუნდაც ასეთი: ერთ პაციენტს პრეპარატმა მთელს სხეულში მოდებული მეტასტაზები გაუქრო, მეორეს კი, ციროზისაგან ღვიძლი დაშლილი რომ ჰქონდა, პრეპარატმა ერთი წლით მაინც გაუხანგრძლივა სიცოცხლე. ეს ლიტონი სიტყვები არ გახლავთ, ყველა ეს ფაქტი გამაგრებულია ან პაციენტების მადლობის ბარათით, ან მათ მიერ ოფიციალურად დამოწმებული ხელწერილით. სულ კი ბიჭიკო გაგნიძის არქივში დაახლოებით სამი ათასამდე მადლობის წერილი ინახება!

პირველი იერიშის მიუხედავად მკურნალის რეიტინგს რომ ვერაფერი დააკლეს, ფარმაკომაფიამ დარტყმის მეორე რაუნდი მოამზადა. აი, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ის იურიდიული **„შახსეი-ვახსეი"**, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება და ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს. გარედან რომ ვერაფერს გახდნენ, ციხის შიგნიდან გატეხვის სქემით ამოქმედდნენ და გაგნიძეს მიუჩინეს ახალგაზრდა ექიმი-ენდოკრინოლოგი, გარეგნულად ინტელიგენტი და თავისი საქმის უბადლო მცოდნე დავით მეტრეველი, რომელიც მალე შევიდა მკურნალთან ნდობაში და დაჰპირდა, რომ მოუგვარებდა მის მიერ შექმნილი პრეპარატების **„დომენტოლისა"** და **„გაგენოლის"** ლიცენზირების საკითხს. მანამდე კი მეტრეველი პირადად იღებდა მკურნალთან მოსულ პაციენტებს და სათანადო კონსულტაციებს უტარებდა მათ. ამან კიდევ უფრო განუმტკიცა მის მიმართ ნდობა ბიჭიკო გაგნიძეს.



## დამიჭირეს, მკლავი მოუმჭირეს...

პირველი დანაშაული, რომლის ინკრიმინირებაც გაგნიძისთვის იყო გამიზნული, სწორედ ამ დავით მეტრეველმა მოამზადა. უპირველესად მან გააყალბა მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნა (რასაც ინსტიტუტის მესვეურები ადასტურებენ), ხოლო მოგვიანებით, აღნიშნულ საკითხზე გამოძიების დანიშვნის შემდეგ, გაირკვა, რომ პრეპარატების **„გაგენოლისა"** და **„დომენტოლის"** სახელმწიფო ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციისთვის მორფოლოგიის ინსტიტუტის დასკვნას არავითარი მნიშვნელობა არ ეძლეოდა და აქ მხოლოდ საჭირო იყო თსუ წამლისა და ფარმაცევტული სამკურნალო საშუალებების ცენტრის დასკვნა, რაც ზუსტად შესრულდა პროცედურულ საკითხებთან ერთად, რადგან აღნიშნული პრეპარატები არის პარასამკურნალო საშუალება და არა საინექციო პრეპარატები. ვინაიდან სიყალბე სახეზე იყო, გაგნიძეს რეგისტრაცია გაუუქმა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ და არავინ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ დავით მეტრეველის დახმარებით მორფოლოგიის ინსტიტუტის მიერ წინასწარგამიზნულად გაყალბებული დასკვნა არ შეიძლებოდა გამხდარიყო რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. არც ის მიიღეს მხედველობაში, რომ ქართველი მედიკოსების გარკვეულმა წრემ ერთხმად აღიარა პრეპარატების **„გაგენოლისა"** და **„დომენტოლის"** უნიკალურობა და ბიჭიკო გაგნიძე არჩეული იქნა საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, 2010 წლის 20 სექტემბერს აირჩიეს საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად...

საინტერესოა რაში გამოიხატა დ.გაგნიძის მიერ დოკუმენტის გაყალბება, ან თვითონ როგორ უნდა გაეყალბებინა იგი, რაში უნდა შეჰპარვოდა ეჭვი, როცა ვიზუალურად დასკვნა არავითარ ეჭვს არ ბადებდა? იგი შეუმჩნეველი დარჩა სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვისაც, რომელმაც პრეპარატები გაატარა რეგისტრაციაში. მაგრამ დოკუმენტის სიყალბე შეამჩნიეს მაშინ, როცა ის საჭირო იყო. შეამჩნიეს საჭირო დროს და საჭირო ვითარებაში. გაგნიძე მაშინვე აცხადებდა, როგორც რეგულირების სააგენტოში, ისე, გამოძიების ორგანოებში და დღესაც სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ზემოთ ხსენებული დასკვნა მას არ გაუყალბებია. მის შესახებ არაფერი იცის და ამ შემთხვევაში იგი გააყალბა დავით მეტრეველმა, რომელი პიროვნებითაც გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა. მან უნდა ახსნას, თუ როგორ გააყალბა აღნიშნული დოკუმენტი, ვისი მეშვეობით, სად მოიძია ინსტიტუტის ალტერნატიული რეალურთან მიმსგავსებული ბეჭედი, ინტიტუტის დირექტორის ა. კორძაიას სახელით ვის მოაწერინა ხელი, თუ თვითონ შეასრულა ხელმოწერა. და რაც მთავარია, საკუთრივ დასკვნა სამედიცინო ტერმინოლოგიითა და მისი შედგენის სტანდარტული ფორმებისა და ტექნოლოგიების დაცვით ვის შეადგენინა – თვითონ დაწერა თუ სხვას დააწერინა?

მაგრამ, როგორც ამბობენ, **„ყინული დაიძრა"** და გაგნიძის წინააღმდეგ აგორებული **„შავი პიარის"** კამპანიას ახლა ზებუნებრივი ძალებიც კი ვერ დაამუხრუჭებდნენ. სახალხო მკურნალს რეგისტრაცია **„საიმედოდ"** გაუნადგურეს!

მაგრამ ვერც ეს ფაქტორი გამოდგა გაგნიძის საბოლოოდ **„გასანეიტრალებელ"** არგუმენტად, რადგან მის ოფისთან კვლავაც იდგნენ (და დღესაც დგანან) ჯანმრთელობას მოწყურებული ადამიანები. გაგნიძეს, როგორც იტყვიან, **„ახალი აგენტი შეუგდეს"** ვინმე მიშა ადამაშვილის სახით, რომელმაც ასევე მალე მოიპოვა სახალხო მკურნალის ნდობა და შესაბამისი ინფორმაციაც სწრაფად შეაგროვა. ამის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ჩაერთო საქმეში და 2011 წლის 22 დეკემბრიდან 2012 წლის 11 აპრილამდე საქართველოს შემოსავლების სამსახურმა შეამოწმა როგორც ი/მ დომენტი გაგნიძის, ასევე მის მიერ დაფუძნებული შპს **„დომენტი გაგნიძის ნატურო აფთიაქის"** მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგები.

შემოწმების შედეგად სხვადასხვა გადასახადების ნაწილში (დღგ, მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი) დარიცხული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებითი თანხები და ჯარიმები.

მიუხედავად იმისა რომ სამკურნალო საშუალებები გაგნიძის მიერ დარეგისტრირებული იყო **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ"** საქართველოს კანონის მიხედვით (სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2010 წლის 13 სექტემბერის №682/ო ბრძანება), შემოწმების მიერ მათი მიწოდება განიხილეს დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად.

ამავე, 2011 წლის 22 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, გაგნიძის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში (თელავი, ს. შალაური), სადაც სპეციალურად გამოყოფილ ფართში აწარმოებდა სამკურნალო საშუალებებს, ჩატარდა ჩხრეკა, რომლის დროსაც მთლიანად ამოიღეს მზა სამკურნალო საშუალებები, მათი დამზადებისათვის საჭირო მოწყობილობები, შუშის ფლაკონები და ნავაჭრი თანხა, რომელიც ინახებოდა სეიფში, გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტები, თუმცა, რატომღაც ოჯახიდან ფულის ამოღების დოკუმენტი ფინანსისტ პოლიციელთა მიერ გაფორმდა 2012 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით (?!). შემოწმებით ეს თანხა აღიარებულია 2012 წელს მიღებულ შემოსავლად (ძიების პროცესში!!! 2012 წლის 1 იანვრიდან – 7 თებერვლის ჩათვლით), აღიარებულია გაცემულ ხელფასად და დაბეგრილია როგორც **დღგ**-თი, ასევე საშემოსავლო გადასახადით.

ყოველივე ეს დანაშაულად ჩაუთვალეს გაგნიძეს და დიდი ფულადი ჯარიმაც დაუწესეს, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ფინანსისტები არ ითვალისწინებდნენ მათ მიერვე ჩადენილ დარღვევებს, რაც წინაწარ იყო დაგეგმილი სახალხო მკურნალის **„ჩასაძირად"**. უფრო მეტიც, მხედველობაში არ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ შემოწმების პროცესში ამოღებული აღნიშნული თანხა, შემოწმების მიერ აღიარებულია როგორც დ. გაგნიძეზე გაცემული ხელფასი (ე.ი. დ. გაგნიძის საკუთრება), თუმცა, 2012 წლის დეკემბერში რატომღაც მიმართულია არა დ. გაგნიძის როგორც მეწარმე-ფიზიკური პირის დავალიანების დასაფარად, არამედ ხელფასის გამცემი **შპს**-ს დავალიანების დასაფარად, შედეგად ხდება ის რომ ფიზიკური პირის დ. გაგნიძის დავალიანების იძულებითი დაფარვა ხდება პირად ანგარიშზე ჩარიცხული პენსიის, კახეთში სტიქიით დაზარალებულთათვის გაწეული დახმარებების ხარჯზე.

არ ვიცი რა ჰქვია საქმისადმი ამგვარ დამოკიდებულებას ბიუროკრატიულ ენაზე, მაგრამ ქუჩური ჟარგონით ეს დაახლოებით ასე ჟღერს: **„არ მაინტერესებს საიდან მოიტან მაყუთს, მაგრამ მაყუთი აუცილებლად უნდა ჩაგვაბარო, ძმაო"!**

მოკლედ, ძალიან ფრთხილად უნდა იარო აშკარად ანგაჟირებულ ფინანსისტთა მიერ აგებულ ლაბირინთში, რათა ფეხი არსად წამოკრა და არ მოიტეხო.

დიდი იყო ხალხის მოთხოვნილება **„გაგენოლსა"** და **„დომენტოლზე"** მაშინ, როცა, ნაციონალთა ზეობის ჟამს ჯანმრთელობის მაძიებელ ადამიანებს ხშირად სახლ-კარის გაყიდვაც კი უწევდათ, არადა, გაგნიძის პრეპარატებით მკურნალობა მათ ათჯერ და ოცჯერ უფრო იაფი უჯდებოდათ. დიდია მოთხოვნილება დღესაც, როდესაც ამოქმედდა ჯანდაცვის საერთო-სახალხო პროგრამა და დღეს პაციენტი საავადმყოფოში მხოლოდ მკურნალობის საერთო ღირებულების ათ პროცენტს იხდის. დასკვნა შეიძლება ერთმნიშვნელოვანი იყოს – სახალხო მკურნალის პრეპარატისადმი ესოდენ დიდი ინტერესი მოტივირებულია არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ აღნიშნული პრეპარატების ქმედითუნარიანობითაც, რომლის დანახვაც ცოცხალი თავით არ სურთ ქართული მედიცინის მესვეურებს!

თითქოს ერთგვარი მისტერიაა ნობელის პრემიის ლაურეატის, პროფესორ ფასბინდერის მიერ 1975 წელს ოსლოში თქმული სიტყვები: **„კიბოს პრეპარატი XXI საუკუნეში შეიქმნება კავკასიაში და მისი ავტორი იქნება არა ექიმი, არამედ, უბრალოდ, ადამიანი, რომელსაც თავად დაავადების დასახელება და სპეციფიკა ხეირიანად არ ეცოდინება. ეს იქნება სილის გაწვნა მედიცინისათვის და ეს იქნება შვება კაცობრიობისათვის..."**

ჯერჯერობით კი, შვებას ვერ გვრის ეს უნიკალური აღმოჩენა მის ავტორს, რომელიც უკვე მერამდენე წელია ბიბლიური დავითივითაა შეჭიდებული გოლიათად ქცეულ ფარმაკომაფიას!

მოკლედ, მართლმსაჯულების ბიუროკრატიის ხვიმირაში ჩავარდნილი ერთი კინკილა ნემსივით მარტივი საქმე მავანთა მეცადინეობით ისეთ ბურძგლა ზღარბად იქცა, რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს ადამიანი. დადის ხელებმოკვეთილი, **„მორიელებისგან უღვთოდ დაგესლილი"** ოსტატი ინსტანციიდან ინსტანციაში და ამაოდ ეძებს სამართალს, რომელიც მას საგულდაგულოდ ემალება ცივსისხლიანი ბიუროკრატიის ბნელ დერეფნებში...

**როდემდე?**

**როლანდ ჯალაღანია,**
**ჟურნალისტი**

> **„კიბოს პრეპარატი XXI საუკუნეში შეიქმნება კავკასიაში და მისი ავტორი იქნება არა ექიმი, არამედ, უბრალოდ, ადამიანი, რომელსაც თავად დაავადების დასახელება და სპეციფიკა ხეირიანად არ ეცოდინება. ეს იქნება სილის გაწვნა მედიცინისათვის და ეს იქნება შვება კაცობრიობისათვის..."**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო ნატოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებს სთხოვს

**ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე მიიჩნევს, რომ ეს წინადადება „ურთიერთ-საპირისპირო აზრებს" გამოიწვევს**

**ოფიციალურმა თბილისმა შესთავაზა ნატოს, განათავსოს „თავდაცვითი საშუალებები" საქართველოს ტერიტორიაზე. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, როდესაც ვაშინგტონის „ატლანტიკურ კავშირში" გამოდიოდა. მინისტრის სიტყვებით, უკრაინის კრიზისისა და ნატოს გაფრთხილებების ფონზე რუსეთის მისამართით, ეს ზომა აუცილებელია იმისთვის, რომ „რუსებმა გაიგონ, რომ თქვენ სერიოზულად ხართ განწყობილი".**



**„ამჟამად მნიშვნელოვანია, რომ ადგილზე განთავსდეს რაიმე შემაკავებელი საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები, რაც საშუალებას მოგვცემს, დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, ვინაიდან ვიცით, რომ, თუ საქმე ცუდად წავა, არავინ მოვა ჩვენს საშველად. ეს ჩვენ 2008 წელს ვნახეთ",** — თქვა ალასანიამ 30 აპრილს თავის გამოსვლაში ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე „ერთიანი და თავისუფალი ევროპისკენ".

საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელის უწყებით, ნატოს შემდგომი ნაბიჯები უნდა იყოს „არაადეკვატური პასუხი იმაზე, თუ რა ხდება უკრაინაში".

კერძოდ, ალასანიამ აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უელსის სამიტზე, რომელიც სექტემბერში გაიმართება, საქართველოს უნდა მიეცეს წევრობის მოქმედების გეგმა, ე.წ. მაპი (შეგახსენებთ, რომ მაპი — ეს არის ალიანსში ახალი წევრების მიღების ოფიციალური პროგრამა. მასში მონაწილეობა მიზნად ისახავს, დაეხმაროს კანდიდატ ქვეყანას, მოემზადოს ნატოში შესასვლელად, თუმცა, ამის გარანტიას იგი არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანა ასპირანტს, საქართველოს გარდა — ესე იგი, ბოსნიას და ჰერცოგოვინას, ჩერნოგორიასა და მაკედონიას — უკვე აქვთ მაპი).

**„ჩვენ ვსაუბრობთ მაპზე, მაგრამ რეალურად არ ვიცით, როგორ დამთავრდება ეს დისკუსიები... თუმცა, გულახდილად რომ ითქვას, უკრაინის შემდეგ ჩვენ უნდა ვისაუბროთ საქართველოს და სხვა ასპირანტი ქვეყნების მიღების შესახებ ნატოში",** — განაცხადა ალასანიამ. უფრო მეტიც, მისი სიტყვებით, ნატოს პასუხი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ასევე უნდა ითვალისწინებდეს „სტრატეგიულ შედეგებსაც".

**„სანქციებით, რის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ, — სამი-ექვსი თვის განმავლობაში ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში დაბრუნდება და ურთიერთობანი რუსეთთან განახლდება. სწორედ ამიტომ გვჭირდება ჩვენ ისეთი მხარდაჭერა, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება — ესაა ნატოს გაფართოება",** — ასე დაახასიათა სიტუაცია ალასანიამ.

მან გამოთქვა აგრეთვე აზრი, რომ ამჟამინდელ პირობებში სასურველი იქნებოდა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „ხშირად" აწყობდეს სწავლებას საქართველოში. თანაც — „რეგიონალურ კონტექსტში".

საქართველოს მინისტრის სიტყვებით, კრიზისმა უკრაინაში მოგვცა საშუალება, რომ „დავრწმუნდეთ" ნატოს მნიშვნელობაში. „აუცილებელია, — ხაზგასმით აღნიშნა ალასანიამ, — გაგრძელდეს ნატოს გაფართოება, ვინაიდან იგი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია რეალურად დააჩქაროს მსოფლიოში თავისუფლების, დემოკრატიისა და უშიშროების პროცესის ზრდა".

## „ურთიერთსაპირისპირო საკითხი"

**როდესაც კომენტარს უკეთებდა საქართველოს მინისტრის წინადადებას, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ალიანსში ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი გაჩნდება.**

ამავე დროს ვერშბოუმ აღნიშნა, რომ ალიანსმა „უნდა გააძლიეროს რუსეთის მეზობლების თავდაცვითი რეფორმებისა და სამხედრო მოდერნიზაციის მხარდაჭერა", რაც, კერძოდ, გულისხმობს ერთობლივი სწავლების არსებული პრაქტიკის გაფართოებასაც. მაგრამ, განაგრძო ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ, „ძალების მუდმივი განთავსება, როგორც ეს მინისტრმა ალასანიამ შემოგვთავაზა", შეიძლება აღმოჩნდეს „საკითხი, რომელიც გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას. მიუხედავად ამისა, ვერშბოუ დაგვპირდა, რომ „შეიტანს ამ წინადადებას ბრიუსელში".

## „ყველაზე რეალისტური ვარიანტი"

**მთავარი ექსპერტი და სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის" მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი ნაკლებად საალბათოდ მიიჩნევს, რომ ნატოს ქვეყნები მიაღწევენ კონსენსუსს საკითხში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის განთავსების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. მას მიაჩნია, რომ შექმნილ სიტუაციაში საქართველოს ერთადერთი პარტნიორი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ქვეყანას, გააძლიეროს თავდაცვისუნარიანობა, — ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები.**

ალადაშვილის სიტყვებით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დღეს არის „უზარმაზარი ბიუროკრატიული მანქანა", რომელიც გაჭირვებით ღებულობს გადაწყვეტილებებს. ამას, ამტკიცებს ექსპერტი, ადასტურებს ნატოს მოქმედებები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დღეებში, დღეს კი — მოვლენები უკრაინაში.

ნატოს განცხადებები და სანქციები, ხაზგასმით აღნიშნავს ალადაშვილი, „არასაკმარისია" რუსეთის აგრესიული მოქმედებების შესაკავებლად. ამიტომ, აგრძელებს იგი, უფრო რეალისტურია საქართველოსთვის — ელოდოს დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ეს დახმარება შეიძლება გამოიხატოს საქართველოს უზრუნველყოფაში თავდაცვითი დანიშნულების საშუალებებით, სტრატეგიული პარტნიორობის ორმხრივი პროგრამის შესაბამისად.

**„განცხადებები შეშფოთების შესახებ, რომლებიც გაისმის ევროკავშირიდან და ნატოდან, სამწუხაროდ, არ არის საკმარისი რუსული ტანკების შესაჩერებლად. ასე რომ, ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება, რაც შეიძლება გამოიხატოს სახსრების მიწოდებაში, როგორც ჰაერსაწინააღმდეგო, ისე ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის, მოცემულ ეტაპზე არის ყველაზე რეალისტური ვარიანტი საქართველოსთვის. ამის შესახებ იყო საუბარი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე 2012 წელს ვაშინგტონში. მაგრამ ამის შემდეგ, სამწუხაროდ, ამ ურთიერთობასთან დაკავშირებით მეტად მცირე პროგრესი იყო",** — განაცხადა ალადაშვილმა „ამერიკის ხმის" რუსული სამსახურის ინტერვიუში.

## „გამოინახოს ფორმა"

**„ამერიკის ხმისთვის" მიცემულ ინტერვიუში გეოლოგიური კვლევის თბილისის ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ფხალაძემ აღნიშნა, რომ დღეს ცხადი გახდა — ახალგაზრდა დემოკრატიები, ისეთები, როგორიცაა საქართველო, საჭიროებენ „დაცვით მექანიზმს", ვინაიდან, დარწმუნებულია ექსპერტი, მათი უსაფრთხოება „უკიდურესად მოწყვლადია".**

ფხალაძემ აღნიშნა საქართველოს „მნიშვნელოვანი" წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მას მხედველობაში ჰქონდა ავღანეთში ნატოს და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის მისიებში მისი მონაწილეობა. ამიტომ, მიაჩნია ფხალაძეს, დასავლეთი, რომლის პოლიტიკაც ხელმძღვანელობს არა მხოლოდ სტრატეგიული ინტერესებით, არამედ პრინციპებითაც, ალბათ, გამონახავს ფორმებს ისეთი ქვეყნების დასაცავად, როგორიცაა საქართველო.

**„მით უმეტეს,** — ხაზგასმით აღნიშნავს ექსპერტი, — **რომ საკითხი შეეხება არა შეტევით, არამედ თავდაცვით საშუალებებს, რაც ჩვენ რეალურად აუცილებლად გვჭირდება. რუსეთმა უნდა იგრძნოს, რომ არსებობს „წითელი ხაზები". წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო უფლება დაირღვევა მის მიერ არაერთგზის. დარწმუნებული ვარ, რომ პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვისთვის გამოინახება რაიმე ფორმა ან ნატოს ან ალიანსის წევრი რომელიმე ქვეყნის მხრიდან".**

Voice of America

# დედამიწის ზურგზე



### მილიცია ოდესაში იქცეოდა უმსგავსოდ, შეიძლება, დანაშაულებრივადაც, განაცხადა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა

არსენ ავაკოვმა განაცხადა ოდესის მილიციისა და პროკურატურის მოქმედებათა გამოკვლევის შესახებ 2 მაისის და შემდგომი დღეების ხოცვა-ჟლეტვის დროს. ქალაქში კანონიერების აღსადგენად ჩავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ბატალიონი, საოლქო ადმინისტრაცია კი ტერიტორიული თავდაცვის საკუთარ ბატალიონს ქმნის.

### შვეიცარიამ გაყინა თითქმის 200 მილიონი დოლარი, რომელიც იანუკოვიჩსა და მის გარემოცვას ეკუთვნის



უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის, მისი ნათესავებისა და მახლობელ პირებთან დაკავშირებით შვეიცარიის მკვლევარებმა უკვე ხუთი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ასევე აღმოჩენილია და დაპატიმრებული ეჭვმიტანილთა ანგარიშებიც, რომლებზეც 170 მილიონი შვეიცარული ფრანკი ინახება.

### ტოკიოში 6,0 მაგნიტუდის მიწისძვრისგან დაშავდა და ტრავმები მიიღო სულ ცოტა 12 კაცმა

ყველა ცნობა დაზარალებულთა შესახებ შემოვიდა დედაქალაქის ოლქიდან და კანაგავას სამხრეთ-დასავლეთის პრეფექტურიდან. რამდენიმე ასეულ სახლში უშიშროების სისტემებმა ავტომატურად გამორთეს გაზმომარაგება. იტარ-ტასის წარმომადგენლობის შენობაში ძლიერ ირყეოდა კედლები და ავეჯი, თაროებიდან ჭურჭელი ცვიოდა.



### აშშ-ში 83 წლის ასაკში ნობელის პრემიის ლაურეატი ჰერი ბეკერი გარდაიცვალა

ყველაზე უფრო პრესტიჟული პრემია ბეკერმა 1992 წელს მიიღო ნაშრომისთვის „მიკროეკონომიკური ანალიზის სფეროს გავრცელება ადამიანური საქციელისა და ურთიერთმოქმედების მთელ რიგ ასპექტებზე, მათ შორის არასაბაზრო ქცევებზე". დღეს ძნელია მონახო სოციალურ-ეკონომიკური კვლევის დარგი, რომელზეც გავლენა არ მოეხდინოს მის შრომებს.



ალიან-ჩალიანი

# მემორანდუმი განათლების სფეროს წაადგება

**საქართველოს** ეროვნულ ბანკს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს საქართველოს ეროვნულ ბანკში ხელი მოაწერეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარემ არჩილ ბაკურაძემ.

ეროვნული ბანკისა და განათლების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მასშტაბით, სტუდენტთა სტაჟირების პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს წარჩინებული სტუდენტების დასაქმების ხელმისაწვდომობას. განათლების სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ერთობლივ ინიციატივას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაცია გამოეხმაურა, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა წევრი ორგანიზაციების სათავო და რეგიონალურ ფილიალებში სტაჟირების გავლის საშუალება მიეცა სტუდენტებისთვის, რომლებიც გაეცნობიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას, უშუალოდ ჩაერთვებიან ყოველდღიურ პროცესებში და შეიძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

როგორც მემორანდუმის გაფორმებამდე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ აღნიშნა, არავისთვის სიახლე არ არის, რომ ეროვნული ბანკისთვის განათლების ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, დაგეგმილი პროექტი არის მასშტაბური და მოიცავს როგორც თბილისს, ასევე საქართველოს რეგიონებს. ქადაგიძის განცხადებით, პროექტი ერთჯერადი არ არის და მისი განხორციელება მომავალშიც იგეგმება.

პროექტის მიხედვით, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ის სტუდენტები, რომელთა მოქმედი სარეიტინგო ქულა 70 ათასზე ნაკლებია და რომლებიც უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების საბუღალტრო აღრიცხვის, ფინანსებისა და მარკეტინგის სპეციალობების დამამთავრებელ კურსზე სწავლობენ; სტაჟირება ორთვიან პერიოდს მოიცავს და მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდება.

თავდაპირველად, სტაჟირებას საქართველოს ცხრა რეგიონში, 16 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში სულ 64 სტუდენტი გაივლის.

# საქართველოში ევროპის კვირეული გაიხსნა

**კვირეული** „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებითა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით იმართება.

კვირეულის ფარგლებში, პირველი ღონისძიება ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს; კონფერენცია — „ჩვენი ევროპული არჩევანი“ წინასწარ გამოცხადებული ესსეების კონკურსისა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში გამოცხადებული კონკურსის დასკვნით ფაზას წარმოადგენს.

კონფერენციას დაესწრნენ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი, დიპლომატები და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები.

— ეს არის ტრადიციული ევროპის დღეები, მაგრამ წელს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ფარგლებში. ეს არის განსაკუთრებული მასშტაბის ღონისძიება, მნიშვნელობა დიდია იმის გამო, რომ საქართველოს მოქალაქეებმა სულ უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ თუ რა შეთანხმებას მოაწერს საქართველო ხელს და საითკენ მიდის ჩვენი ქვეყანა, რათა მომავალში აღარ იყოს გაურკვევლობა, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა კი, თავის მხრივ, ხაზი გაუსვა კვირეულის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს კვირეული იმ ქვეყნებში, სადაც ევროპა მნიშვნელოვანია, ყოველთვის აღინიშნება ხოლმე.

„კვირეულს დღეს ესსეების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოებით ვხსნით. ეს არის სტუდენტთა შორის ჩატარებული კონკურსი, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების თემაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მეტია, ვიდრე ესსეები. რაღაც კვლევითი სამუშაოც კი არის ჩატარებული და ჩვენ საკმაოდ მაღალ შეფასებებს ვაძლევთ ამ ნაშრომებს. შემდეგ მთელი კვირის განმავლობაში იქნება ღონისძიებათა ციკლი, 10 მაისს კი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეგიდით ჩვენ ასევე ვიზეიმებთ ევროპის დღეს„ - განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

კვირეული 14 მაისამდე გაგრძელდება. მის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები სტუდენტებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, ფერმერებთან, პრობაციონერებთან, ასევე გაიმართება სპორტული ტურნირები, გამოფენები და სხვა საინტერესო ღონისძიებები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

ინტერპრესი

ინფორმაცია

## საბაჟო პუნქტზე მთელი არსენალი გადაჰქონდა

**საბაჟო** გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მებაჟე ოფიცრებმა იარაღის უკანონო გატანის მცდელობა გამოავლინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 3 მაისს აღნიშნული პუნქტის გავლით საქართველოს მხრიდან გადიოდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე შ. მ., რომლის კუთვნილ ავტომანქანაში, საბაჟო პროცედურების გავლისას, აღმოჩენილ იქნა 4 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი — 3 დაშლილი, ხოლო 1 — აწყობილი, ასევე, ერთი ცალი კონდახი. პირს ჩაუტარეს ფიზიკური დათვალიერებაც, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ მას დამატებით 40 ცალი ვაზნა, 2 ცალი პისტოლეტის ლულა და 2 ცალი ცარიელი მჭიდი გაჰქონდა ქვეყნის ტერიტორიიდან. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქმე შემდგომი რეაგირებისათვის შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოს გადაეცა.



## ირანის მოქალაქემ საზღვარი დაარღვია

**სამართალდამცველებმა** 1981 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე ჰასსან ტ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით სარფის დასაცავ მონაკვეთზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ჰასსან ტ. სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, უკანონოდ ცდილობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას. გამოძიება საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ინტერპრესი

ფიქრები

# „სოფლელების“ საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნება

**რამდენიმე წელია საქართველოს დედაქალაქში ხალხის ერთი ნაწილის საზეიმო განწყობის საბაბი „სოფლელების“ საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებაა. ეს საზეიმო განწყობა კი , რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მაშინ ჩქეფს, როცა აღდგომის ბრწინვალე დღესასწაული ახლოვდება და თბილისში ჩამოსული სხვადასხვა კუთხის შვილები მამაპაპურ მიწას უბრუნდებიან, რათა წინაპრების ხსოვნას პატივი მიაგონ.**

ცოტას თუ ხელეწიფება, დაადოს ბორკილები ენას და დააპატიმროს ის ფიქრი, რომელიც გამოხატავს საკუთარ ამპარტავნებას სხვების მიმართ და აზროვნების უსუსურობას. თუმცა, ამგვარი ფიქრების ტვინში მოხვედრის ალბათობას ისიც ზრდის, რომ ასე ნანატრი „სიტყვის თავისუფლება „მხრებში გვაწვება და ვამბობთ იმას, რაც გვინდა და როგორც გვინდა, იმიტომ რომ „სხვაგვარად არ ძალგვიძს“.

ადამიანს, რაც უფრო ნაკლები ინფორმაცია მოეპოვება გარესამყაროზე, მით უფრო უადვილდება მასზე ლაპარაკი.

რატომღაც გვავიწყდება, რომ ქართული „პოეზიის მეფე“ გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა სოფელ ჭყვისში. რომ თუ არა სოფელი ჩარგალი, ვის დავუძახებდით „ბუნების მგოსანს“. თუ ეს ყველაფერი უბრალო ჩამონათვალია ჩვენთვის.

ჩემი აზრით, ადამიანი საკუთარ თავს ფიქრის დროს ასამართლებს, ხოლო სულ სხვა საქმეა როგორი განაჩენი გამოაქვს გონებას.

**რუსუდან კილასონია**

თბილისური ვერნისაჟები



# თემოს მთავარი თემა

**ყველას თუ არა, შემოქმედთაგან მრავალს მაინც, მის გულს მოლამუნებული, საკუთარი ემოციებით აღსავსე, რამდენიმე, ხშირად კი სულაც ერთი თემა აქვს, რომელსაც ყველა კუთხიდან უდგება და ეფერება.**

ერთი ასეთი თემა დიდებული მხატვრის **თემიკო მაჭავარიანის** შემოქმედებაში თბილისია, რომლის ხედები, ძველი უბნების, ცალკეული სახლების, სულიერი არსებებივით — ზოგჯერ მოწყენილი, ზოგჯერაც „ხასიათზე მყოფები“, მაგრამ მუდამ თვალწარმტაცნი წარმოჩნდებიან მისი ტილოების მნახველის წინაშე. დედაქალაქში ვარდობისთვის შემობრძანებასთან ერთად საკუთარი გულით დანახული თბილისის ხედებით, სიყვარულით შექმნილი პორტრეტებით, სულში ჩამწვდომი ნატურმორტებით მნახველებს გულის კარი



გაუღო მხატვარმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართული ნამუშევართა გამოფენით. ვვერნისაჟის გახსნა არც დიდად დაანონსებული ყოფილა, არც პომპეზური — სტუმრები ჩვენი თანამოქალაქეები იყვნენ, ვისთვისაც ხალასი ნიჭის ნებისმიერი გაბრწყინება სულიერების საზრდოა.

გამორჩეულად მიმზიდველი გამოფენა „თბილისი მარიოტის“ საგამოფენო დარბაზში მაისის შუა რიცხვებამდე გასტანს.

# სევდიანი „ბაბუაწვერები“

**დედაქალაქის სახვითი ხელოვნების საგაზაფხულო პალიტრა კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის ქეთი დავლიანიძის ნამუშევართა გამოფენით გამდიდრდა, რომელიც გასულ შაბათს დოდო აბაშიძის ქუჩაზე ახალ საგამოფენო დარბაზში Art Area-ში გაიხსნა.**

გამორჩეულად თვითმყოფადმა, ორიგინალური თვალთახედვის მქონე ახალგაზრდა შემოქმედმა ამ ჯერზე საზოგადოების სამსჯავროზე მისთვის საკმაოდ სახეცვლილ მანერაში შესრულებული რამდენიმე ათეული ნახატი გამოიტანა. მართალია, ვერნისაჟის გახსნაზე დამსწრე საზოგადოების უმეტესი ნაწილი ქეთი დავლიანიძის თაობის წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა კი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გამოფენილმა ნამუშევრებმა უკლებლივ ყველას, მათ შორის უფროსი თაობის დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა.



ამ გარემოებას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ეს გამოფენა ქეთი დავლიანიძემ უდროოდ დაღუპული მამის, თაობის გამორჩეული კაცის **გია დავლიანიძის** ხსოვნას მიუძღვნა და მამისა და უმცროსი ძმის ირაკლის ტრაგიკული დაღუპვის უდიდესი განცდა უკლებლივ ყველა გამოფენილი ტილოს (ამ მხრივ განსაკუთრებით „ბაბუაწვერებს“ გამოვყოფდი) ლაიტმოტივია.

ქეთი დავლიანიძის ნამუშევართა გამოფენა Art Area-ს საგამოფენო სივრცეში 11 მაისამდე ელის სტუმრებს.

მოინახულეთ, გირჩევთ!

**ოთარ ტურაბელიძე.**

გივი ჯოლბორდის ფოტო

**კალათბურთი**

# ივლისის ბოლოს – ლიტვაში...



**ლიტვის საკალათბურთო ნაკრები 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ციკლში 11 გუნდთან 14 საკონტროლო მატჩს ჩაატარებს და სასიხარულოა, რომ მათგან ორი საქართველოს ნაკრებთან იქნება.**

ლიტველები ქართველებს შინ მიიღებენ და უკვე თარიღებიც და ადგილებიც ცნობილია: 28 ივლისს — პანევეჟისში, ხოლო 30-ში — ვილნიუსში.

ქართველთა გარდა, ბალტიისპირელები სპარინგებს ლატვიასთან, ფინეთთან (ორჯერ), უკრაინასთან, ავსტრალიასთან, საბერძნეთთან, ახალ ზელანდიასთან, სლოვენიასთან (ორჯერ), ბრაზილიასთან, ირანთან და ხორვატეთთან გამართავენ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი 30 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით ესპანეთში შედგება. D ჯგუფში ლიტვის ნაკრების მეტოქეები ანგოლა, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, მექსიკა და სლოვენია იქნებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**სუპერლიგა**

# „ბათუმი-რსუმ" „შსს აკადემიას" პლეი ოფი 3:1 მოუგო

**„ბათუმი" ნახევარფინალშია. მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა აჭარულმა გუნდმა მეოთხედფინალური სერიის მე-4 მატჩში 84:69 დაამარცხა „შსს-აკადემია" და საერთო ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა.**

თბილისში აკადემიელთა ორჯერ დამარცხების შემდეგ „ბათუმი" აჭარაში იმ იმედით დაბრუნდა, რომ ორიდან ერთ შეხვედრას მაინც მოუგებდა მეტოქეს და ასეც მოხდა. ბათუმელებმა საწადელს მეორე მატჩში მიაღწიეს — შსს-ელებთან 72:78 დამარცხების შემდეგ კვირას უფრო მობილიზებულად ითამაშეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

შეხვედრის პირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად თანაბარი იყო. მასპინძლები მცირედით ლიდერობდნენ, შსს-ელები ბათუმელებს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ, თუმდა დიდი შესვენების შემდეგ კვანძი გაიხსნა. „ბათუმის" კალათბურთელებმა შედეგიანად ითამაშეს — კემერონ მაკკევრის, ჯუნიორ ქედუგინის და ჯერემი სეფოლდის ქულებით მესამე მეოთხედი 24:13 მოიგეს და ბოლო პერიოდის წინ 16 ქულით — 61:45 დაწინაურდნენ.

გადამწყვეტი ათწუთეული კვლავ ბათუმელთა უპირატესობით განახლდა და ნიკა რამიშვილის მიერ ზედიზედ ჩაგდებული 4 ქულის შემდეგ მასპინძელთა უპირატესობამ 24 ქულას მიაღწია - 70:46. თამაშის დასრულებამდე 7:45 წუთი რჩებოდა და ამ დროში ამხელა ჩამორჩენის აღმოფხვრა არარეალური იყო.

საბოლოოდ „ბათუმი" მშვიდად მივიდა გამარჯვებამდე და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. მასპინძლებს 23 ქულით და 7 პასით ქედუგინმა ულიდერა. 16-16 ქულა დააგროვეს რამიშვილმა და მაკკევრიმ, ხოლო ჯერემი სეფოლდის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა. ფარქვეშ აქტიურობდა ავთანდილ ელიაშვილი, რომელმაც ბურთი 13-ჯერ მოხსნა. აკადემიელთგან 22 ქულით პერიშ ბრაუნი გამოირჩა, 13-13 ქულა კი ლევან ფაცაციამ და მილე ილიჩმა დააგროვეს. ამ უკანასკნელმა ორმაგი დუბლი შეასრულა - 13 ქულას 14 მოხსნაც დაამატა.

მაშ ასე, 4-დან 3 ნახევარფინალისტი ცნობილია. ფინალში გასასვლელ სერიაში, რომელიც 9 მაისს დაიწყება, „ბათუმი" „დინამოს" დაუპირისპირდება. „არმია" კი მეტოქეს „ქუთაისისა" და „სოხუმის" ბრძოლიდან ელის. სერიაში ანგარიში 2:2-ია და გადამწყვეტ მატჩს დღეს ქუთაისი უმასპინძლებს.

**კოზა კოზახიძე**

# სერია ქუთაისში გაგრძელდება და დასრულდება

**„სოხუმისა" და „ქუთაისის" მესამე დაპირისპირებაში მალხაზ კოხრეიძის გუნდის წევრებს თამაში არ წაუვიდათ, რასაც უიღბლობაც დაერთო (სტუმართა მიერ ნატყორცნი ბურთი რამდენჯერმე ამოვარდა კალათიდან), სოხუმელებმა კი მონდომებით, მობილიზებულად იასპარეზეს და მეოთხედფინალურ სერიაში მეორე მოგება სავსებით დამსახურებულად მოიპოვეს. კვირას ქუთაისელები ფსიქოლოგიურად (მოწინააღმდეგესთან შედარებით უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამის პირობებში) უკეთ მომზადებულები შეხვდნენ მეოთხე შეხვედრას, რაც პირველსავე პერიოდში იგრძნობოდა.**

სტუმრები თავიდანვე დაწინაურდნენ და თუკი წინა დღეს საწყისი მეოთხედი „სოხუმმა" 10-ქულიანი ჰანდიკაპით მოიგო, ამჯერად რიონისპირელებმა პირველ პერიოდში 22:10 იმარჯვეს. ეს სხვაობა დავით ბარბაქაძისა და აკაკი დვალიშვილის დამსახურებაა. საწყის ათწუთიან მონაკვეთში ქუთაისელთაგან ქულები მხოლოდ მათ ანგარიშზე დაირიცხა — ბარბაქაძემ 14, დვალიშვილმა კი 8 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს.

მეორე პერიოდი ლევან ცეკვავას ორქულიანით გაიხსნა და „ქუთაისის" უპირატესობამ 14 ქულას მიაღწია (24:10), თუმცა, ძირითადად ირაკლი ჩლაიძის სამქულიანებით სოხუმელებმა 10:0 „გაქცევა" მოაწყვეს (20:24). პირველი ტაიმის მიწურულამდე ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წავიდა, შესვენების წინ კი დასკვნითი აკორდი სოხუმელთა კაპიტანმა ჩლაიძემ 2+1-ით დასვა და მეორე მეოთხედი ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა 5 ქულით მოიგო, თუმცა, „ქუთაისი" მაინც სოლიდური სხვაობით იყო წინ — 38:31.




დაძაბული ორთაბრძოლა მესამე პერიოდში გაგრძელდა. მეოთხედის დასკვნითი წერტილი კვლავ ჩლაიძემ, ამჯერად სამქულიანით დასვა და სხვაობა ლამის მინიმუმამდე დაიყვანა — 47:49. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ მომენტისთვის ჩლაიძის ანგარიშზე სოხუმელთა ქულების ნახევარზე მეტი (24) ირიცხებოდა.

ბოლო პერიოდში ვახტანგ ქადარიამ მატჩში პირველად და, როგორც გაირკვა, უკანასკნელად მოახერხა წონასწორობის აღდგენა (49:49), ამის შემდეგ კი სოხუმელებს დაღლა აშკარად დაეტყოთ, რასაც სათამაშო წუნი მოჰყვა. საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე გრიგოლ შვანგირაძის ზუსტი შორეული ტყორცნის შემდეგ ანგარიში 56:59 გახდა, რასაც ქუთაისელებმა რამდენიმე ეფექტური კომბინაცია მიაყოლეს, სხვაობამაც მათ სასარგებლოდ მეთოდურად იწყო ზრდა და საბოლოოდ „ქუთაისმა" 74:60 მოგებით მეოთხედფინალურ სერიაში ანგარიში გააყაიმა. გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტად საქებარ სიტყვებს მათი მეფარე აკაკი დვალიშვილი იმსახურებს. მან მოედანზე მატჩისთვის განკუთვნილი მთლიანი დრო გაატარა (ისევე, როგორც ჩლაიძემ), ბოლო პერიოდის დასაწყისში მეოთხე ჯარიმაც მიიღო, მაგრამ თავდაუზოგავად იბრძოლა, 26 ქულას 19 მოხსნა მიამატა (8 მეტოქის ფარზე) და ქუთაისელთა მოგებაში დიდი როლი შეასრულა. გამოვარჩევთ ლევან ცეკვავასა და დავით ბარბაქაძეს, აგრეთვე, ლევან გრძელიძეს, რომელმაც ორჯერ ზუსტი სამქულიანით მეტად საჭირო ქულები მოუპოვა თავის გუნდს.

**მანუჩარ გიორგაძე**

**ფეხბურთი**



# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი.** „ზესტაფონი" — „დინამო" 3:2, „სიონი" — „გურია" 2:0, „ჩიხურა" — „მეტალურგი" 4:1.

**ლიდერთა ჯგუფი.** „დინამო" — 61, „ზესტაფონი" — 55, „სიონი" — 54 ქულა.

* * *

**იტალია.** „კატანია" — „რომა" 4:1, „მილანი" — „ინტერი" 1:0, „პარმა" — „სამპდორია" 2:0.

**თასის ფინალი.** „ნაპოლი" — „ფიორენტინა" 3:1.

**ესპანეთი.** „რეალი" — „ვალენსია" 2:2, „ლევანტე" — „ატლეტიკო" 2:0, „ბარსელონა" — „ხეტაფე" 2:2.

**ინგლისი.** „ევერტონი" — „სიტი" 2:3, „ჩელსი" — „ნორვიჩი" 1:1, „მანჩესტერი" — „სანდერლენდი" 0:1.

**გერმანია.** „ჰამბურგი" — „ბაიერნი" 1:4, „ბორუსია" — „ჰოფენჰაიმი" 4:2, „ფრაიბურგი" — „შალკე" 0:2.

**გიორგი შოთაძე**

**ძიუდო**

# ქართველები ბაქოში იასპარეზებენ

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები კვირის ბოლოს აზერბაიჯანის დედაქალაქში დაგეგმილ გრან პრიზე იასპარეზებს. ბაქო ტურნირს 9-11 მაისს უმასპინძლებს, ქართველი ძიუდოისტები კი სამეზობლოში შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრნენ.**

**60 კგ.** — ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი მესაბლიშვილი,

**66 კგ.** — შალვა ქარდავა, ტრისტან ფეიქრიშვილი,

**73 კგ.** — ლაშა შავდათუაშვილი, თენგიზ პაპოშვილი,

**81 კგ.** — ზებედა რეხვიაშვილი, უშანგი მარგიანი,

**90 კგ.** — ზვიად გოგოჭური, ბექა ღვინიაშვილი,

**100 კგ.** — გურამ თუშიშვილი, ალექსანდრე მსხალაძე,

**+100 კგ.** — როსტომ ხახალეიშვილი, გიორგი ზაქარიაძე.

**ბეჟან დოლიძე**

**ინტერნეტიდან**

# მამაკაცებთან „ნაომარი" ნაომი

**სუპერმოდელ ნაომი კემპბელის მეგობარი მამაკაცების სია გრძელია, თუმცა ის გათხოვილი არასოდეს ყოფილა. 1990 წელს ნაომი ხვდებოდა ცნობილ მოკრივე მაიკ ტაისონს, მერე რობერტ დე ნიროს, 1993 წელს — ბასისტ ადამ კლეიტონს, ერთი ხანი — მოცეკვავე ხოაკინ კორტესს.**

2000 წლიდან ცნობილ ბიზნესმენ ბადრ ჯაფართან გააბა რომანი, ხოლო 2008 წლიდან სუპერმოდელი რუს ოლიგარქ ვლადისლავ დორონინთან ერთადაა. ისინი მოსკოვში ცხოვრობენ. გავრცელებული ჭორების თანახმად, წყვილი მალე დაქორწინდება კიდეც.

სუპერმოდელის ნარკოდამოკიდებულება 1994 წლიდან იღებს სათავეს. 1999 წელს მკურნალობდა, თუმცა, 2003 წელს უკვე „განკურნებული" ნაომი რამდენჯერმე შენიშნეს ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფი. აღსანიშნავია, რომ მან ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ ის უკვე კარგა ხანია, არ მიკარებია მას და არც არასდროს გააკეთებს ამას.

**როსტომ რაჭველიშვილი**



◉ შაბათ-კვირის ჩანაწერები

# მკვიდრი მარადისობის...

**შარშანწინ ახალგამოცემული ლექსების წიგნი მაჩუქა. ხშირად ვკითხულობ, ზოგი ლექსი ზედაპირადაც კი დავისწავლე... აქ უბედური სამშობლოს გამო ტკივილიცაა, დღევანდელობის სურათებიცაა,**



**ბოჰემური „გრიალიცაა“, ნაბახუსევი, ქაფქაფა ლუდს მონატრებული უფულო კაცის ირონიცაა... ამ ყველაფერს ისე ხატავს, ისე თავისუფლად, ისე არაშაბლონურად ექცევა სტრიქონს, მთლიანად ფორმას, შეიძლება რეგვენმა იფიქროს, ასე მეც ქე დავწერდიო (სულმნათ აკაკიზეც ასე ფიქრობდნენ).**

რენე მიდგას თვალწინ — სამი ძმის შუათანა კალანდია — ლაღი, თავისუფალი, ცოტაც შერეკილი, ხშირად სევდიანი, ბიბლიურად წვერმოშვებული, ნაღდი კოლხი — მწევარივით აწვართული, ჯავრიან გულზე არყის გადამხუხავი...

**ეხ, უფულობის დედასა,**
**რა ეშველება სევდასა?!**
**არც გაცოცხლებს და არცა გკლავს,**
**ხან ღმერთიც არას გხედავსა!**

აი, კიდევ ერთი მწარე რეალობა ჩვენი დღეებისა:

**— ჯართს ვიბარებ, ჯართს ვიბარებ —**
**ქუჩა-ქუჩა კივის ნატო,**
**რეჯიბი კი მოტოროლას დააქროლებს...**
**კილოგრამი 20 თეთრი...**
**ჩვენი ფქვილიც, იქცა ქატოდ...**

**„რენე კალანდია** — წერს წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი, — მომავლის პოეტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ძნელი გასაგებია. პირიქით, „ადვილი“ პოეტია, მისი ლექსი სავსებით შეესაბამება თანამედროვე გემოვნებასა და განწყობას, ზუსტად ასახავს დროს... და ამიტომაც ეკუთვნის მომავალს, როგორც თანადროულობის პოეტური დოკუმენტი“.

ჭეშმარიტად! რენეს მეამბოხე სული, ცხოვრების წესი, ნონკომფორმისტობა ჩანს ამ კრებულის ყოველ გვერდზე:

**ყველა მთავრობის ჯინაზე,**
**აღარ ვყოფილვარ სინაზე**
**დაბმული ძაღლი: რკინაზე,**
**ოქრო-ვერცხლზე, კარგ ბინაზე**
**არ გამიცვლია მამული**
**„ტრამალზე“ — ქინაქინაზე.**

იქვე ამასაც წერს:

**აი შეიძლება პოეტი გერქვას:**
**და ტინგიცების ქადას ლოღნიდე!**

ასე იცხოვრა — დონკიხოტივით...

...და წავიდა ჩვენი რენე (რასაც, გულით ვუსამძიმრებ მის ძმებს გენოსა და ზაურს, მთელ საკალანდიოს)... როგორც უნდოდა ისე იცხოვრა და... წავიდა...

შენი დაუდგრომელი, მშფოთვარე სული ზეცაში გაფრინდა, ძმაო, რენე! ნათელი დაგადგეს, მკვიდრო მარადისობის!

# მეორე იაკობ გოგებაშვილი — ჩვენ გვერდით...

**დიახ, ასე ითქვა იმ საღამოს, ქართული ლიტერატურის მუზეუმის სხდომათა დარბაზში, სადაც ცნობილი მთარგმნელისა და საყმაწვილო ლიტერატურის გამომცემლის აკაკი ბრეგაძის ბოლო დროს გამოსული რამდენიმე წიგნის წარდგენა გაიმართა...**

**ჰოდა, სწორედ იქ დიდი იაკობის ღვაწლს გაუთანაბრეს ჩვენი თანამედროვის, ჭეშმარიტად სამაგალითო ქართველის აკაკი ბრეგაძის ღვაწლი...**

თუმცა, ეს ფრაზა რომ ჰაიჰარად არ თქმულა იმ საღამოს, ამაში, ცხადია, მკითხველი უნდა დავაჯეროთ. იტყვის ხოლმე აკაკი, ჩემს გულსა და სულს რომ ესადაგებოდა, სწორედ იქ მომიწია მუშაობის დაწყებაო. ეს იყო საბავშვო გამომცემლობა „ნაკადული“, ეს იყო, საერთოდ, ბავშვების, საბავშვო ლიტერატურის სიყვარული. თუმცა, თავიდან მთარგმნელობით სფეროშიც ილვწოდა და, როგორც ბევრჯერ აღინიშნა, უმაღლეს დონეზე თარგმნა ბორის პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“, ალექსანდრე ტოლსტოის „გზანი წამებისანი“, ჩინგიზ აიტმატოვის „საქონდაქრე კუნძი“ („საჯალათოს“ მაგივრად „საქონდაქრე“, სწორედ მან შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში), ივანე ბუნინის მოთხრობები და ასე შემდეგ, რისთვისაც აკაკი ბრეგაძეს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიაც კი მიენიჭა.

დამთავრდა საბჭოთა საქართველო, დაიხურა გამომცემლობა „ნაკადულიც“ და სწორედ მაშინ გადაწყვიტა აკაკიმ, თუ მომავალში რაიმეს გააკეთებდა, მხოლოდღა ბავშვებისთვის. ჰოდა, 1995 წელს იგი სცემს დამოუკიდებელ საბავშვო ალმანახს **„ციცინათელას“,** მკითხველები დამეთანხმებიან, იგი შემეცნებითი ხასიათისაა, და არა საყველპურო ინფორმაციებით სავსე. ამ ყოველთვიურ გაზეთში პირველსავე გვერდიდან (6-გვერდიანია) ეროვნული სუნთქვა იგრძნობა, საქართველოს ისტორია, დღევანდელობა, ჩვენი ცნობილი პოეტის პატრიოტული ხასიათის ლექსები, მოთხრობები თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედება ერთმანეთს შენივთია და „ციცინათელას“ ისე საინტერესოს ხდის, რომ უფროსი ასაკის მკითხველიც კი სიამოვნებით ეცნობა.

ეს, გაზეთი... მაგრამ, თუკი მთელი ოჯახი მეხმარება (მეუღლე, ვაჟიშვილები, რძლები, შვილიშვილები) ხომ შეიძლება დავაარსოთ გამომცემლობაო? — იფიქრა ერთ დღეს აკაკიმ და ასე შეიქმნა გამომცემლობა **„ციცინათელა“,** თუმცა, რა გასაკვირია, წიგნის გამოცემა დღეს ძვირი საქმეა და მათაც გაუჭირდათ, მაგრამ, როგორც ლიტერატურის მუზეუმში გამართულ საღამოზე აკაკი ბრეგაძემ აღნიშნა, დღეს, თითქოს, არა გვიშავს, რაც, უპირველესად, დღემდე გამოცემულმა საინტერესო საბავშვო ლიტერატურის მოძიებამ და ბეჭდვამ განაპირობაო. აბა, ვნახოთ ერთი, მაინც რა ლიტერატურაა ეს?

**„ციცინათელა“** სერიით „საკითხავნი ყმაწვილთათვის“ სცემს საბავშვო კრებულების 30-ტომეულს. აი, დღემდე გამოცემული ზოგიერთი მათგანი:

— **„კიდევაც დაიზრდებიან“** — კრებულში დაბეჭდილია ქართული ხალხური ზღაპრები, თქმულებები, ლექსები სამშობლოზე, მამულიშვილობაზე, ზნეობაზე...

— **„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!“** — კრებულში დაბეჭდილია XX საუკუნის აწ განსვენებული ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები სამშობლოს სიყვარულზე, მამულიშვილობაზე, ზნეობაზე... და ასე შემდეგ...



გამოიცა ფერადი სასაჩუქრე წიგნი-კრებული — **„იავნანა“. ქართველი ქალი — „დედა ქართვლისა“,** რომელიც ეძღვნება ქართველ დედებს. უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის დაიბეჭდა ფერადი წიგნი „ქართული ხალხური გამოცანები, თამაშობანი, გამოსაჯავრებლები“.

„ციცინათელა“ სერიით „მწიგნობრობა ქართული“ რამდენიმე ნაწილად გამოსცემს ქართული მწერლობის მრავალტომეულს. დღემდე გამოცემულია — „ხალხური სიტყვიერება“ და „სასულიერი მწერლობის“ მრავალი ტომი. „ციცინათელა“ გამოსცემს ახალ სერიას რამდენიმე ტომად სახელწოდებით „ლიტერატურული საუბრები ახალგაზრდებისთვის“...

„ქართული ენა“, „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“, „ქართული დამწერლობა“, „ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი“, „ქართული ლექსი, იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართლისა ენისაი“, „ხალხური ლექსის თვალსაწიერი“ და ასე შემდეგ...

ის რომ დაწვრილებით ჩამომეთვალა, რაც „ციცინათელამ“ დღემდე ჩვენი ნორჩი თაობისთვის (არა მარტო მათთვის) გამოსცა, ამას გაზეთის მთელი გვერდიც არ ეყოფოდა ძვირფასო მკითხველო.

ფაქტია და ზემოთ ჩამონათვალი წიგნებიდანაც ნათლად ჩანს, რომ გამომცემლობა „ციცინათელა“ ბატონი აკაკი ბრეგაძის თავკაცობით მართლაც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. იმ საღამოს წარმოდგენილი იყო ახლახან გამოცემული — „საკითხავნი ყმაწვილთათვის“ — „ქართული მუსიკა“, „მწიგნობრობა ქართულის“ მე-16 ტომი და „ქართველი ქალი — დედა ქართვლისა“.

იყო საუბრები აკაკი ბრეგაძის ღვაწლზე, განსაკუთრებით ერეკლე საღლიანი გამოირჩა და, როგორც მოგახსენეთ, იაკობ გოგებაშვილსაც კი შეადარეს თავისი მოღვაწეობით.

რატომაც არა! მამულის, ენისა და სარწმუნოების შთაგონება თუ სჭირდება, სწორედ დღეს სჭირდება ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას. ჰოდა, ეს საქმე აკაკი ბრეგაძემ ზედმიწევნით იცის.

**ვილენ მარდალეიშვილი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ინფორმაცია

## აჭარაში ფერმერებზე ტექნიკის გაცემა დაიწყო

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტკარაძე სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში გუშინ, ფერმერებზე ტექნიკის გაცემას დაესწრნენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აჭარის მთავრობიდან აცნობეს, მიმდინარე წელს პროგრამის ფარგლებში შესყიდულია 360 ერთეული იტალიური წარმოების, Meccanica Benassi-ს და Berbieri-ს ფირმის მრავალფუნქციური მოტობლოკი. პროგრამა ითვალისწინებს მოტობლოკების ფერმერებზე თანაგადახდის პრინციპით (ღირებულების 30%) გადაცემას.**

**შესყიდული ტექნიკა გადანაწილებული იქნება რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ფერმერებზე.**

## ვინ ლობირებს თამბაქოს ინდუსტრიას

**„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი, გიორგი ბახტურიძე საჯარო მოხელეებს და პოლიტიკოსებს თამბაქოს ინდუსტრიის ლობირებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ ბახტურიძემ ალიანსის წარმომადგენელ კახა ღვინიაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

**როგორც გიორგი ბახტურიძემ აღნიშნა, თამბაქოს ბიზნესს წლების განმავლობაში მფარველობდნენ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და უკვე მმართველ გუნდშიც გაჩნდნენ თამბაქოს ბიზნესის ლობისტები.**

**„იაპონური თამბაქოს წარმოების საკომუნიკაციო დირექტორი კავკასიაში ნიკო მჭედლიშვილი, რომელიც გახლდათ ყოფილი პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის თანაშემწე, არის მთავარი ლობისტი დღეის მდგომარეობით მთავრობასა და პარლამენტში. ასევე ლობისტები წლების განმავლობაში იყვნენ ჯანდაცვის სისტემაში. მაგალითად, იურიდიული სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე, რომლებიც პირდაპირ ლობირებენ ამ საკითხებს, ასევე ეკონომიკის სამინისტროში ყოფილი მინისტრის მოადგილეები მატკავა და ჯანელიძე და დეპარტამენტის უფროსი ღოღობერიძე. პარლამენტში მმართველი გუნდიდანაც გამოჩნდა უკვე რამდენიმე დეპუტატი, ეს ძირითადად გახლავთ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ჯგუფი, რომლებიც ასევე ლობირებენ ამ ბიზნესს საქართველოში. ტყემალაძისა და თოფაძის ინიციატივით გასულ წელს მოხდა იმპორტზე გადასახადის გადავადება, — განაცხადა გიორგი ბახტურიძემ.**

**მისივე თქმით, ლობისტები, ჯანდაცვის სამინისტროდან მთავრობაში თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტის გადაგზავნას აბრკოლებენ და შესაძლებელია, აღნიშნული კანონპროექტის გადაგზავნა საგაზაფხულო სესიების დაწყებამდე ვერ მოესწროს.**

**ინტერპრესი**

## განცხადება

2014 წლის 26 ივნისს, 15 საათზე, შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ სასწავლო ცენტრის შენობაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ვოლსკის ქ. №2), გაიმართება კომპანია „Vibro Diagnostik FZE“-ს 3 ახალი 12 000 $მ^3$ ტევადობის ნავთობის შესანახი რეზერვუარის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალისგან“ იჯარით აღებულ ტერიტორიაზე 12 000 $მ^3$ ტევადობის ნავთობის შესანახი 3 რეზერვუარის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

**საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:**

● **შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ სასწავლო ცენტრის შენობაში -მისამართი: ქ. ბათუმი, ვოლსკის ქ. №2;**

● **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ქ. თბილისი, გულიას ქ. №6.** http://moe.gov.ge.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

**კომპანია „Vibro Diagnostik FZE“-ის ადმინისტრაცია**

## განცხადება

**სს „ტრანსმშენის“ დირექტორატი იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2014 წლის 27 მაისს დღის 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2, მესამე სართული.**

**სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2014 წლის 15 აპრილი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2013 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. 2014 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
3. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
5. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების შესახებ:
6. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების რეკომენდაცია, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — სს „კავკასრეესტრში“, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74ა. ტელ: 2-220 749; 2-521 876.

**სს „ტრანსმშენის“**
**მმართველი დირექტორი თ. კოტიშაძე**

## დღესასწაული

# გიორგობას გილოცავთ!

**6 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გიორგობას დღესასწაულობს. ნიშანდობლივია, რომ 6 მაისს დედოფალ ალექსანდრასაც იხსენიებს ეკლესია.**

...ცნობილია, რომ წმინდა დიდებული, დიდმოწამე, ძლევამოსილი სასწაულმოქ-



მედი, ტყვეთა განმანთავისუფლებელი, სნეულთა მკურნალი — გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია, ხოლო ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი პატივგებული წმინდანი.

უამრავი თქმულება არსებობს იმის თაობაზე, რომ დიდმოწამე გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში, ან ის ხილულად ყოფილა ტყვეთა განმანთავისუფლებელი ან კიდევ სნეულები განუკურნავს...

საქართველოში ეკლესიების უმრავლესობა წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელზეა აგებული. ეს ნათქვამი ისევ და ისევ იმაზე მიანიშნებს, რომ, რაოდენ დიდ პატივსა და თაყვანისცემას მიაგებენ წმინდანს ჩვენს ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ წმინდა გიორგის უძლეველი ფრესკები ეგვიპტეშია, ასევე — სინას მთაზეც. საქართველოში კი წმინდანის პირველი გამოსახულებები ადრეულ სტელებზე გვხვდება. XX საუკუნის დასაწყისში, როცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი მოინახულა, სუჯუნაში აღწერა ტაძრის სიწმინდეები, კერძოდ, „ძლიერ ძველი ხატი („მომარჩქილარი") „შემსმენელი"... ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას ნაშრომში ვკითხულობთ, რომ ხატობა ამ ტაძარში სწორედ 6 მაისს იმართებოდა და დიდი ხალხმრავლობა იყო...

საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება დღეს ყველა ტაძარში და განსაკუთრებით დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძრებში.

**P. S. წმინდა დიდმოწამე გიორგის მოსახელეებს ვულოცავთ გიორგობას.**

**გიული ლიპარტია**

## უცხოური გაზეთიდან

# მეექვსე გრძნობა

## რაზე მეტყველებს შინაგანი ხმა

**ზოგჯერ იმისთვის, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, საკმარისია მხოლოდ შინაგან ხმას მოუსმინო. ინტუიცია ხანდახან გონებაზე უკეთეს რჩევას გვაძლევს.**

### გადამრჩენელი კარნახი

**განვითარებული ინტუიცია ბევრ ცნობილ მეცნიერს, პოლიტიკოსს, ბიზნესმენს აქვს. სწორედ შინაგანი ხმა ხშირად უკარნახებს მათ საჭირო მომენტში. მაგალითად, ინტუიციამ არაერთხელ გადაარჩინა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი.** ამბობენ, რომ პოლიტიკოსი მთლიანად ენდობოდა მეექვსე გრძნობას, და ისიც მას იშვიათად ღალატობდა. მაგალითად, ადრეულ ახალგაზრდობაში უინსტონ ჩერჩილი აფრიკაში გაემგზავრა — იმ ხანებში ახალგაზრდა კაცი სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა და ინგლის-ბურების ომის მოვლენებს აშუქებდა. მატარებელს, რომლითაც ჟურნალისტი მიდიოდა, ცეცხლი გაუხსნეს, ბურებმა ჩერჩილი ტყვედ აიყვანეს. მაგრამ პატიმრობის ერთი თვის შემდეგ ახალგაზრდამ მოახერხა გაქცევა. გადარჩენისთვის უინსტონი მივიდა პატარა სოფლამდე და ერთ-ერთ სახლზე დააკაკუნა. აღმოჩნდა, რომ სახლი, სადაც მომავალი პოლიტიკოსი მივიდა, — იყო ოლქში ერთადერთი ნაგებობა, რომელიც არა ბურებს, არამედ ინგლისელს ეკუთვნოდა. თანამემამულე რამდენიმე დღის განმავლობაში მალავდა ჩერჩილს თავის სარდაფში, შემდეგ კი დაეხმარა, გადაეკვეთა ფრონტის ხაზი.

მეორეჯერ ინტუიციამ პრემიერი მეორე მსოფლიო ომის დროს გადაარჩინა. დაუნინგ-სტრიტში სადილობის დროს ჩერჩილი უეცრად წამოდგა მაგიდიდან და სამზარეულოში წავიდა. მან უბრძანა მოსამსახურეებს დაუყოვნებლივ ჩასულიყვნენ ბომბსაფარში. ერთი საათის შემდეგ სამზარეულოს ჭურვი დაეცა.

მესამედ უინსტონ ჩერჩილს სიცოცხლე თავისმა შინაგანმა ხმამ აჩუქა, როდესაც პოლიტიკოსს თავს დაესხნენ, რომ მისი ავტომობილი აეფეთქებინათ. ჩვეულების საწინააღმდეგოდ ჩერჩილი ჩაჯდა მანქანაში არა იმ მხრიდან, საიდანაც ჯდებოდა ხოლმე. ამან გადაარჩინა იგი სწორედ. მოგვიანებით პრემიერ-მინისტრი იგონებდა, თითქოს ვიღაც უხილავმა უთხრა მას, სხვა ადგილას დამჯდარიყო.

### დაგროვილი გამოცდილება

**როდესაც ინტუიციის ფენომენს იკვლევენ, მეცნიერები მიდიან იმ აზრამდე, რომ შინაგანი ხმა — სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება. მაგალითად, ადამიანი ხედავს ხიფათის რაღაც ნიშნებს, მაგრამ დანახულის მთლიანად აღქმას ვერ ასწრებს.** მაგრამ როდესაც ამ ნიშნებს ემყარება, ტვინი ელვისებურად იძლევა ბრძანებას, რასაც ჩვენ შინაგანი ხმის ბრძანებად მივიჩნევთ. მაგალითად, ადამიანი ინსტინქტურად ჩერდება შუა ქუჩაში ან, პირიქით, მკვეთრად აჩქარებს ნაბიჯს, როდესაც თვალის ერთი შევლებით ამჩნევს სახურავიდან ჩამოვარდნილ ყინულის ლოლუას ან აგურს. გაიგოს, რომ საფრთხე ელოდება, ადამიანი ვერ ასწრებს, თუმცა ტვინმა ზუსტად იცის, თუ რა უნდა გააკეთოს, რომ ტრავმას გადაურჩეს.

გამონათების კიდევ ერთი მაგალითი, რაც დაგროვილი გამოცდილების შედეგია, — ესაა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ძილში გვესტუმრება ხოლმე. ყველაზე ცნობილი მაგალითია ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა, რაც სიზმარში გამოეცხადა მის შემქმნელს — ქიმიკოს დიმიტრი მენდელეევს. რასაკვირველია, ცხრილს სიზმარში ვერავინ ნახავდა, გარდა მეცნიერისა, რომელიც მასზე ფიქრობდა მრავალი წლის განმავლობაში — სიზმარშიც კი მენდელეევის ტვინი აგრძელებდა მუშაობას პერიოდული სისტემის შექმნაზე.



სხვათა შორის, მენდელეევი ერთადერთი მეცნიერი როდია, ვინც თავისი პირმშო სიზმარში ნახა. მეორე ქიმიკოსმა ავგუსტ კეკულემ, რომელიც ბენზოლის მოლეკულის აგებულებას სწავლობდა, სიზმარში ნახა გველი, რომელიც თავის კუდს კბენდა. ამან უკარნახა მას აზრი მოლეკულის ციკლური სტრუქტურის შესახებ.

კიდევ ერთი გამოგონება, რომელიც საწოლში მოხდა, — არის საკერავი მანქანა. ნემსის პირველსახე გახვრეტილი შუბები აღმოჩნდა, რომლებითაც გამომგონებელ ელიას ჰოვეს ადგილობრივი მცხოვრებლები უტევდნენ. როდესაც გაიღვიძა, ჰოვე მიხვდა, რომ ნახვრეტი ნემსში განთავსებული უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო ახლოს ბუნიკთან.

### ვკითხულობთ სახეებს

**დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სიცრუის ამოცნობასთან დაკავშირებით — ესეც ცხოვრებისეული გამოცდილების თავისებური შედეგია. შემჩნეულია, რომ ზოგიერთ ადამიანს შეუცდომლად შეუძლია გამოიცნოს, სიმართლეს ლაპარაკობს თუ არა მისი თანამოსაუბრე. ფსიქოლოგები დარწმუნებული არიან, რომ ამგვარი გამჭვირვალობის საიდუმლო იმალება უნარში, შეაფასოს თავისი ვიზავის ჟესტები.** ამ დროს ადამიანი ყოველთვის როდი ათვითცნობიერებს, თუ, კერძოდ, როგორი მოძრაობანი გასცემენ თანამოსაუბრეს.

მიაჩნიათ, რომ ლამაზი სქესის წარმომადგენლებს მეექვსე გრძნობა უფრო მეტად აქვთ განვითარებული. ამასაც აქვს თავისი ახსნა. საქმე ისაა, რომ ქალბატონები ავარჯიშებენ თავიანთ ინტუიციას, როდესაც პატარა ბავშვებს უვლიან. სანამ პატარამ არ იცის ლაპარაკი, დედა იძულებულია გამოიცნოს მისი განწყობილება და გრძნობები ჟესტებისა და მიმიკის მიხედვით, ეს კი ეხმარება მას სამომავლოდ იკითხოს სახის გამომეტყველება, მიმიკა.

მაგრამ ზოგჯერ ის, რასაც ჩვენ შეცდომით ინტუიციად მივიჩნევთ, არის თვითდაპროგრამების შედეგი. მაგალითად, მღელვარებამ მნიშვნელოვანი საქმის წინ შეიძლება ცუდი სამსახური გაგვიწიოს. თავის თავში ურწმუნოების გრძნობა არ გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ ჩვენი პოტენციალის სრულად რეალიზება, შემდეგ კი, როდესაც ვერ მივაღწევთ შედეგს, ჩვენ თითქოს ვეუბნებით ჩვენ თავს, რომ წინასწარ ვგრძნობდით წარუმატებლობას.

### საინტერესოა

**ცხოვრებისეული მოუწესრიგებლობა ამწვავებს ინტუიციას — სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან ექსპერიმენტის შედეგად.** გამოკვლევის მონაწილეები სამ ჯგუფად დაყვეს. პირველ ჯგუფს შესთავაზეს დაეწერათ პატარა ნარკვევი მათ მიერ გადატანილ წარუმატებელ სიყვარულზე. მეორე ჯგუფი იხსენებდა ბედნიერ ამბებს, რომლებიც მათ ოდესმე განუცდიათ. მესამე ჯგუფს არანაირი მოგონებები არ დასჭირვებია. შემდეგ გამოსაცდელებს უჩვენებდნენ მომღიმარი ადამიანების ფოტოგრაფიებს და სთავაზობდნენ ამოეცნოთ, ვინ იღიმოდა გულწრფელად და ვინ მოჩვენებით. მონაწილეები, რომლებიც მანამდე იხსენებდნენ წარუმატებლობებს საკუთარ ფრონტზე, აღმოჩნდნენ მართლები შემთხვევების საშუალოდ 80 პროცენტით. ორ სხვა ჯგუფში სწორი პასუხების ოდენობა საშუალოდ 20 პროცენტით ნაკლები აღმოჩნდა.

### სხვათა შორის

**სხვათა შორის, მარჯვენა ნახევარსფეროს პასუხისმგებლობის ზონაშია ყველაფერი, რაც შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. ხშირად მიმართეთ საქმიანობის იმ სახეობებს, რომლებიც მარჯვენა ნახევარსფეროს აქტივობას მოითხოვენ — ხატეთ, ძერწეთ, უსმინეთ მუსიკას.**

ЗДОРОВЬЕ

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ პეტკა მიდის მინდორში. ხედავს, მოხოხავს გასისხლიანებული დაჭრილი აბრამი:**

**— პეტკა, — ხრიალით ამბობს აბრამი, — ძალიან მძიმედ ვარ დაჭრილი, ვიტანჯები, მადლი ჰქენი, მესროლე და გამათავე!**

**— რას ამბობ, აბრამ, როგორ გესვრი! თან არც ვაზნები მაქვს...**

**— შენც ჩემგან იყიდე!**



* * *

**მოხვდა პეტკა ზეციურ სამყაროში და ანგელოზს ეკითხება:**

**— მაპატიეთ, სადა გაქვთ ტუალეტი?**

**— დედამიწაზე.**

* * *

**— მამი, მამი! შენ ვინ უფრო მეტად გინდოდა, ბიჭი თუ გოგო?**

**— უფრო მეტად დედაშენი მინდოდა.**

* * *

**— ბაიბე, სამყაროს აღსასრული 2033 წლამდე გადაუტანიათ.**

**— ოჰ, ეს ნაძირალები! მაქამდე მე რას ვიცოცხლებ!**

* * *

**ბრიტანელი მეცნიერების გამოკვლევათა თანახმად, მდედრი კურდღელი ვერასოდეს ვერ ასწრებს იმის თქმასაც კი, რომ თავი სტკივა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24